

၁၃၂. ၄၁၂ ၈၅၉၁၇၃၀၆၂

မန် အနောက် ဆုတ္တဒုဇိုင်း

(ပုဂ္ဂနိုင်လွှဲလွှာ)

ပါရာတာရီ ဇ္ဈာယ်မာန်

စွဲအဖွဲ့အစည်း ပြည်သူ့ဝန်ကြီးချုပ် ပြည်သူ့ဝန်ကြီးချုပ်

စွဲအဖွဲ့အစည်း

1936



ଶର୍ଦ୍ଦିବନ୍ଧୁରେ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

მნიშვნელოვანი მოძღვრების

(იუდეტილობის)

ინდიური დეკულტები

29863



ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ტფილისი

1936

ქორექტორი: ტ. სანიკიძე
გადავცა წარმოებას 2/IX—36
დაიბეჭდა 3/XII—36

მთავლიტი № ზ—28
ტირაჟი 3000
შეკვეთა № 452

ტ. ს. უნივერსიტეტის სტამბა. უნივერსიტეტის ქ. № 1.

ଶ୍ରୀମତୀ ଲକ୍ଷ୍ମୀପାତ୍ନୀଙ୍କ ମହାଦେଵପଣ୍ଡିତ

ବୁଦ୍ଧ ମାର୍ତ୍ତିଳିନୀ

ପ୍ରକଳ୍ପିତ ବସନ୍ତରେ

ଶ୍ରୀପଦମଣି ପାତ୍ନୀଙ୍କ ମହାଦେଵପଣ୍ଡିତ.

ଅପରାଧି.

ჭინასიტუაცია

აქად. ნ. მარრის გარდაცვალებით საბჭოთა მეცნიერებაშ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. მოკვდა უდიდესი ენათმეცნიერი, რომლის მსგავსი ისტორიამ ჯერ არ იცის, ვინაიდან მარრის შემცირებული კონცეპციები, მის მიერ შექმნილი, განვითარებული და გარკვეულ სამეცნიერო დისკიპლინად ჩამოყალიბებული ენის ახალი მოძღვრება (იაფეტიდოლოგია) არსებითად დიდი ოქტომბრის ნაშობია, აშახველია გამარჯვებული პროლეტარიატის იდეოლოგიისა, გამარჯვებული მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისა და ამოცანებისა.

დანაკლისი ერთობ უზარმაზარია, მაგრამ უზარმაზარია აგრეთვე ის მემკვიდრეობა, რომელიც აკად. ნ. მარრმა დაგვიტოვა (500-ზე მეტი ლაბეტდილი ნაშრომი და ამის ნახევარზე მეტი ხელნაწერების საწით, რაც მის არქივშია). ამ მემკვიდრეობის დამუშავება, შეთვისება და შემდეგ მისი გაგრძელება ჩვენი მორიგი ამოცანაა. მაგრამ, იმის გამო, რომ ჩვენს სინამდვილეში ჯერ კიდევ არ არის იდეურად საბოლოოდ განადგურებული ის ციხე-კოშკი ენათმეცნიერებაში, რომლის სათოფურებიდან კიდევ გაისმის ხმა დახასებული აზროვნებისა, ობსკურანტიზმისა და იდეალისტური მსოფლმხედველობის ძახილი, იაფეტიდოლოგიის პოპულარიზაციის საქმე გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია.

თავისთავად იგულისხმება, რომ ამ ჩვენს პირველ შრომას უნდა მოჰყვეს ცალკე დებულებათა უფრო დაწვრილებითი განხილვა კონკრეტულ ფაქტებით, რაც მომავლის საქმეა და რითაც საფუძველი უნდა ჩაეყაროს იაფეტიდოლოგიური ბიბლიოთეკის სერიას. ახლა-კი —feci quod potui, faciant meliora potentes².

ავთონი.

1936 წ.
ოცილების.

1 წაკითხულია მოხსენებად ტფ. სას. უნივერსიტეტის ლიტერატურული ფაკულტეტისა და აკად. ნ. მარრის სახლობის საენათმეცნიერო წრის მიერ ნ. მარრის გარდაცვალებიდან 1 წლის აღსანიშნავად მოწყობილ სალამოზე—26/II-36 წ.

2 „მე გავაკეთე ის, რაც შემეძლო, დევ, ისაც შეუძლია, უკეთესად გა-აკეთოს“.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ენის ახალი მოძღვრება (იაფეტიდოლოგია) ჩაისახა ინდოეპ-
როპული „ენათმეცნიერების“¹ გარემოში, მაგრამ იგი ინდოევრო-
პული „ენათმეცნიერების“ ჩარჩოებში ვერ დაეტია და მას გაშორდა:
ახალმა მასალებმა (იაფეტური სისტემის ენების მასალებმა) სრუ-
ლიად ახალი პერსპექტივები გაშალა საკვლევაძიებო ფართობზე,
თვით ენის მასალებში ჩამარხულმა კანონზომიერებებმა სრულიად
ახალი თვისების მეთოდის მომარჯვება გამოიწვია, ოქტომბერმა კი
სული ჩაპერა იაფეტიდოლოგიას და იყვანა იმ სიმაღლეზე, რო-
მელზედაც ენათმეცნიერება იქამდის არა მდგარა. ამიტომაც რეინი-
სებურია დებულება: მარქსიზმ-ლენინიზმის შეგნებისა და შესისხლ-
ხორცების გარეშე იაფეტიდოლოგია გაუეცარი და მიუწვდომელია.

მართალია, ინდოევროპეისტიკა სწავლობდა ენებს ერთი გარ-
ქვეული, მის მიერ დამყარებული, ე.წ. „ოჯახისას“, ინდოევროპული
„ოჯახისას“, ე. ი. ჩაიკეტა მხოლოდ ერთი „ოჯახის“ ენებში, ერთ
ჩარჩოში აერთიანებდა ენებს: სანსკრიტს (ძველი ლიტერატურული
ინდური); ირანულს (ძვ. ირანულიდან, ავესტის ენიდან მოყოლებუ-
ლი), ბერძნულს, ლათინურს, სლავურ ენებს და სხვა, დას. ევროპის
ტერიტორიაზე არსებულ ენებს,—მაგრამ საქმე ეს არაა, ე. ი. მთავა-
რი მისი „ცოდვა“ ეს არაა; საქმე ისაა, თუ რა მეთოდებით მუშა-
ობდა და მათი მიხედვით რა თეორეტული და პრაქტიკული დას-
კვნები გამოჰყავდა და საერთოდ, ბურუუაზიული მეცნიერება როგორ
იყნებდა ენათმეცნიერებაში მიღებულ დასკვნებს. აი, ეს დასკვნები:
1) დედამიწის ზურგზე არსებული ენები იყოფიან ოჯახებად: ინდო-

¹ სიტყვა ენათმეცნიერებსა ბრჭყალებში ვმარობთ იმის გამო, რომ იგი
შეიცავს სწავლას ენის შესახებ საერთოდ, მის აღმოცენების, ჩამოყალიბების და
განვითარების პირობების და კანონების დადგენას; ინდოევროპეისტიკა კი ამ
კარდინალური და ძირული მნიშვნელობის პრობლემებს თავიდანვე მხარს უქცევ-
და და შემდევ სრულიად შეუბრუნა ზურგი; თავისი კვლევის არე მხოლოდ ინდო-
ევროპული ენებით შემოსაზღვრა და ამითვე მხოლოდ ამ ენების მოძღვრებად იქცა.

ევროპული, სემიტური, ქამიტური, ურალ-ალტაური და სხვ. და შათ შორის გარდაუგალი ზღვარია, ენათა თითოეულ ოჯახს თავისი-შამა-მთავარი ენა (წინარენა, პრეენა) ჰყავდა წარსულში, რომელიც დაი-შალა დღეს არსებულ ენებად, 2) ინდოევროპული ენების მამა-მთა-ვარი ენა იყო ინდოევროპული საერთო ენა, „კეთილშობილ“ არიელ-თა ნახელავი. ინდოევროპული ენები ერთადერთი საშუალება და პი-რობაა კულტურული განვითარებისათვის, 3) დაბალი მოღვარის ხალ-ხების ენაში არსებული მალალი ხალხის ენების მსგავსი ენობრივი მოვლენები და ფაქტები შედეგია პირველთა მიერ მეორეთაგან ნასეს-ხობისა და შეთვისებისა, 4) ინდოევროპული წინარენა მეტად გან-ვითარებული ენა იყო, ვიდრე ახლა არსებული ცოცხალი ენები ჩა-მორჩენილი ხალხებისა, რაც შედეგია ამ ხალხების სულიერი გადა-გვარებისა და დეგრადაციისა, ამიტომ ეს ხალხები თავისი ენებით უნარმოკლებული არიან კულტურული განვითარებისთვის; ბუნებრი-ვია კულტურული ხალხების გეგმონია დაბალ ხალხებზე (ნაცუმცი-რესობანი, შავ-ჯანიანები, ყვითელ-ჯანიანები და სხვა).

პირველმა დებულებამ გამოიწვია ის, რომ ინდოევრო-პული „ენათმეცნიერება“ თავის კვლევას მხოლოდ ინდოევროპული ენების ფარგლებში აწარმოებდა, მათ გარედ კი იმდენად.... რამდე-ნადაც..... რის გამო ბოლოს ისეთ ჩიხში შევიდა, რომლიდანაც გა-მოსავალი თითქოს დღესაც არ უჩას.

მეორე დებულების შედეგი იყო აღმოცენება გარკვეული მიმართულებების, რომელნიც წმინდა წყლის რელიგიურ იერს ატა-რებდა და დღესაც აქვთ გასავალი ბურუუზიულ სამყაროში, ესენია: პანსლავიზმი, პანთურქიზმი და სხვა პან-იზმები და უკანასკნელ ხანში მეტად გავრცელებული პანიაპონიზმის იღეა წინარენის და წინარე სამშობლოს ძებნით აზიაში და აღვირახსნილი ლოზუნგით: „აზიის-ქენ“, ე. ი. კონკრეტულად — „ჩინეთში გაბატონებისკენ“.

მესამე დებულებამ ფრთხები შეასხა ე. წ. მიურაციის თეორიას, ე. ი. რომ ამათუმ რაიონში კულტურა ჩნდება ახალი მოღვარის მოსვლით და ადამიანის იქ არსებული ყოველვარი ნახელა-ვის წალეკვით; რომ ერთი ხალხი მეორისგან ყველაფერს იღებს წმინ-და მემკვიდრეობის გზით, ე. ი. თვით ზეძალის მიერ ასეა დადგენი-ლი, რომ ერთნი (კულტურული) მხოლოდ აძლევენ და მეორენი კი (უკულტურონი) მხოლოდ იღებენ და ითვისებენ.

მეოთხე დებულებამ ნიადაგი გაანოყიერა იმ იდეის ალ-მოცენებისთვის, რომლის მიხედვითაც დედამიწაზე არსებული ხალ-ხები ორ ჯგუფად იყოფიან: მწერლობის მქონენი და არ მქონენი, ამ საფუძველზე კი „ისტორიულნი“ და „არაისტორიულნი“, ამ

უკანასკნელი არაფერი ახსოვთ თავის ჩამომავლობა — მოდგმაზე და ამიტომ უუფლებონი არიან¹⁾.

ამ უკანასკნელ დებულებას ახლაც იცავს ინდოევროპული „ენათ-მეცნიერების“ ბურჯი პროფ. მეცენ, რომელიც 1930 წ. ნაცუმურესობათა ბავშვებისთვის მშობლიურ ენაზე დაწყებითი სწავლების შემოლებაზე სწერს შემდეგს:

„ . . . მიზანი, რომელსაც აღმზრდელი უნდა ესწრაფოდეს ისაა, რომ ჩამოაყალიბოს ადამიანი, რომელიც პოლიტიკურად და სოციალურად თანასწორი იქნება თავის თანამოქალაქეებთან და რომელსაც შეეძლება კულტურის მაღალ დონეს მიაღწიოს; უდიდესი უსამართლობა · იქნებოდა პატარა ბასკის ან პატარა ბრეტონელის მიმართ, — არ ჩავაყენოთ იგი ისეთ პირობებში, რომ, შეძლების-დაგვარად, მას ისევე კარგად შეეძლოს ლაპარაკი და წერა ფრანგულად, როგორც ყოველ სხვა ფრანგს, და ამგვარად შეითვისოს ენა, რომლის კულტურული მნიშვნელობა სხვა რიგისაა, ვიდრე ბასკური და ბრეტონული ენებისა: ენებს ერთნაირი კულტურული ღირებულება არა აქვთ“ (ხაზი ჩვენია; ციტატა მოგვყავს ს. ბიბოვსკაიას სტატიიდან: Критические заметки. II. Мейе о преподавании общегосударственного языка, сб. Яфетический сборник, VII, 1932 წ. გვ. 175. დ. კ.). დარწმუნებულია რა, რომ რაღაც 30 წლის შემდეგ ნაცუმურიესობათა ენები აღარც კი იქნებიან, განავგობს: „ . . . საჭიროა თუ არა, იმისთვის, რომ ზოგიერთ ბავშვებს და მათ აღმზრდელებს შეუმსუბუქოთ ამოცანა რაღაც ოცდათი წლის სიგრძეზე, შევწიროთ უბირატესობა, რომელიც აქვს კულტურის დიდი ენის პროპაგანდას (იგულისხმება ფრანგული. დ. კ.) წარსულის არა მქონე და გაუვრცელებელი ენის (იგულისხმება ნაცუმურიესობათა ენები: ბასკური, ბრეტონული და სხვ. დ. კ.) პროპაგანდის წინაშე“ (იქვე გვ. 176).

თი, ამ პირწავარდნილ ფაშისტურ კონცეპტუალის მიერთა ინდოევროპული „ენათმეცნიერება“ თავისი კვლევების შედეგად. ამ დებულებებს ერთიანად ანვითარებს დღეს ფაშიზმი გერმანიაში; გიტ-ლერი ამტკიცებს, რომ: გერმანული რასა ერთადერთი არიული რასაა კეთილშობილი ჩამომავლობისა და სიცოცხლის უნარის მქონე, მოწოდებული საკაცობრიო კულტურული მისის შესასრულებლადო.

¹⁾ ჩვენ აესახეთ ინდოევროპული „ენათმეცნიერების“ ძირითადი მიმართულება, რაც სრულიად იმას არ ნიშნავს, თითქოს ცალკეული ჯამსაღი მოსახრებანი არ ყოფილიყოს ინდოევროპეისტიკაში. მაგალითად, ჰ. შუხართისა და სხვებისაც, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში.

ინდოევროპეისტიკის მამათავრად ითვლება ფრანც ბოზი, რომელმაც მე-19 ს. პირველ ნახევარში (1816 წლიდან მოყოლებული) ჩამოაყალიბა გარკვეული პრინციპები, რომელთა შორის მთავარია პრინციპი ფორმალურ-შედარებითი მეთოდისა და ამ პრინციპზე ე. წ. ინდოევროპული ენის (წინარენის) გათვალისწინების ცდა, რის გამაგრებას ის შეეცადა ინდოევროპული ენების ფაქტებით.

რასაკვირველია, სადაც თვით შშრალი ფაქტები კი არაა, რასაც ბოპი ააშკარავებდა, მაგ., რომ ერთი ენის (მაგ. სანსკრიტის) გარკვეული ჯგუფი სიტყვებისა, ან თუნდაც ფლექსიები ულვლილებაში, შეესატყვისებიან მეორე ენის (მაგ. ლათინურის) სიტყვებს და ფლექსიებს. სადაოა და სრულიად უკუსაგდები ის, თუ რა ხერხით ცდილობდა ბოპი დაედგინა ენათა ნაოესაობა და ერთიანი ოდესლიც არსებული საერთო ენა, რომლიდანაც ვითომ გამოვიდნენ ცალკ-ცალკე ენები. მართლაც, აი, ბოპის ხერხი და კვლევის ფართობი: სანსკრ. avih, 'ცხვარი', ლათ. ovis, ბერძ. ἔνας, ლიტვ. avis, ძვ. ზემო გერმ. ouwi, ძვ. სლავ. овънъ, овъца, ე. ი. სანსკრიტის a-ს ლათინურში შეესატყვისება ი, ბერძნულში ი, ლიტვურში a, ძვ. სლავურში o და სხვ.; ანდა: სანსკრ. aśṭāu 'რგა', ლათ. octo; სანსკრ. návan 'ცხრა', ლათ. novem; სანსკრ. návah, 'ახალი', ლათ. novus სანსკრ. dámah, 'სახლი', ლათ. dóminus, როს შესახებ იგი ამბობს: ბერძნულში არის ε და ο თავდაპირველი (ხაზი ჩვენია. დ.კ.) ა-ს ჩვეულებრივი მონაცვლენი, უფრო იშვიათად ჩნდება უცვლელი a; ბერძნულივით ლათინურშიც არის ორეთვე ē, რომელიც გადაგვარებაა თავდაპირველი a-სი, მაგრამ ḥ უფრო ნაჯლებ მრავალრიცხვანია, ვიდრე ბერძნულში. მე შევაგროვე რამდენიმე მაგალითი ლათინურ ḥ-ზე სანსკრიტულ a-სთვის-ო¹ და მოპყავს ზემოთ ნაჩვენები შესატყვისობანი, რაც სრულიად არაფერს გვეუბნება ენის განვითარების პროცესზე, ამ მონაცვლეობის (a || o) მიზეზებზე, თუ რატომ განვითარდა ერთ შემთხვევაში ovis-o (ლათ.) და მეორეში—avis (ლიტვ.) ან რატომ მივიღეთ ერთ შემთხვევაში ovis და მეორეში oвъца; ასეთი შშრალი ფიქსაცია არსებული ფაქტებისა ბევრს არ აქმაყოფილებდა, თვით იმათაც, ვინც ინდოევროპეისტიკის პოზიციებზე იდგა; ასეთია, მაგ. ბენფეი, რომელიც ამათრახებს ბოპს, რომ მან მეტი ყურადღება მიაქცია გამაერთიანებელ და არა განმასხვავებელ ნიშნებს².

¹ ფრ. ბოპი. Vergleichende Grammatik des Sanscrit . . . , ბერლინი, 1868 წ., ტ. I, გვ. 19.

² ბენფეი. Geschichte des Sprachwissenschaft, 1869, გვ. 507.

ჩვენ დაწვრილებით აღარას ვამბობთ იმის შესახებ, თუ როგორ უყურებდა ენას ბოპი, ვიტყვით მხოლოდ, რომ იგი ენას წარმოიდგნდა ცოცხალ ორგანიზმად: „ენები განხილულნი უნდა იქნენ, როგორც ბუნების ორგანული სხეულები, რომელნიც განსაზღვრული კანონებით წარმოიშობიან, ვითარდებიან მათში მყოფი შინაგანი სასიცოცხლო პრინციპის ძალით და შემდეგ ნელნელა კვდებიან, და ამასთან, ვერა გაუგიათ რა თავისთავისა, ჩამოშორებენ თავის წევრებს ანუ ფორმებს . . . ან ამახინჯებენ მათ, ან ბოროტად იყენებენ მათ, ე. ი. იმ მიზნებისათვის გამოიყენებენ, რომლისათვისაც ისინი არ იყვნენ განკუთნილნი წარმოშობით“¹. ვინაიდან ბოპმა ენა ცოცხალ, მოაზროვნე არსებად დასახა, ამიტომ თავისებური ლოგიკური თანმიმდევრობით ანვითარებს ამ შეხედულებას: ² 1) „დუალის უყვარს (ხაზი ჩვენია დ. კ.), რადგანაც მის ფუქეშია უფრო ნათელი აზრი (Anschausung), ვიდრე განუსაზღვრელი მრავლობა, უფრო მეტი მაცვილობისთვის (Nachdruck) და უფრო ცოცხალი განსახიერებისათვის — უფართოესი დაბოლოებები, როგორც დასახელებულ ბრუნვაში, აგრეთვე დანარჩენებში“³, 2) „დედრობით სქესს უყვარს (ხაზი ჩვენია. დ. კ.) სანსკრიტში, როგორც ფუქეში, ისე ბრუნვის დაბოლოებებში, ფორმის საუცხოვო (üppigie) სისახეს (Fülle), და, სადაც ის ფუქეში ან დაბოლოებაში სხვა სქესებიდან გარჩეულია, უფართოესი მუღერი ხმოვნით განსხვავდება“⁴, 3) „წინააღმდეგ, საშუალო სქესს უყვარს (ხაზი ჩვენია. დ. კ.) უდიდესი სიმოკლე . . . etc“⁵). ამგვარად, ბოპმა ენობრივ მოვლენათა ახსნაზე უარი თქვა და შემჩნეული პროცესები დაუკავშირა ენის ნება-სურვილს, როგორც დამოუკიდებელ არსებას. მართალია ბოპის ასეთი განმარტებანი, როგორც ჩვენ მოვიყენოთ ზევით, დღემდის სიტყვა სიტყვით აღარავის გაუმეორებია, მაგრამ ეს გავება დარჩა მემკვიდრეობად მომდევნო თაობებს და ბევრი გაიტაცა მან (მაგ., თვით დე-სოსხურიც კი).

რაც შეეხება ბოპის მიერ დადგენილ ფორმალურ-შედარებით მეთოდს, მართალია, ამის შესახებ დელბრეუკი ამბობს, რომ ბოპმა მარცხი განიცადა, როცა მალაურ-პოლინეზიური ენების კვლევას შეუდგა, სადაც არაფერი არ გამოდიოდა, როგორც ინდოგერმანული ენების დარგში, სადაც მსგავსი ბგერა ერთსადაიმავე ადგილს არის წარმოდგე-

¹ ფ. ბოპი. Vocalismus, გვ. I, დელბრეუკით—Введение в изучение языка, 1904, გვ. 18.

² ფ. ბოპი. Vergleichende Grammatik des Sanscrit . . . ტ. I, § 206, გვ. 416.

³ იქვე, გვ. 113, გვ. 247.

⁴ იქვე.

ნილიო¹, ე. ი. ფორმალურ-შედარებითმა მეთოდმა, გამომუშავებულმა ე. წ. ინდოევროპული „ოჯახის“ ენებზე, ნაყოფი ვერ გამოიღო სხვა ენების კელევისას და ეს ასეც უნდა მომხდარიყო; მაგრამ ისიც ძართალია, რომ ბოკის მიერ შექმნილი მეთოდი მთლიანად და ულაპარაკოდ გაიზიარა ინდოევროპულმა „ენათმეცნიერებამ“. ამას ურყევი ფაქტები გვიჩვენებენ და ამიტომ ვერ დავეთანხმებით დელბრეუცს, ვითომ ფორმალურ-შედარებითი მეთოდი ბოკს არ დაედგინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია, რათ უწოდებს ივი ბოკს გენიოსს².

ბოკის მიერ გამონახულმა ფორმალურმა ფონეტიკურმა კანონებმა ფრთხები აუსხა მომდევნო თაობას და 70-იან წლებიდან ახალგაზრდა ვრამატიკოსების ხელში (ბრუგმანი, ოსტგოფი და სხვ.) ფეტიშად იქცნენ: უპეთუ ბოკი გამონაკლისებს ხედავდა ამ კანონებში და ამბობდა, რომ ჩვეულებრივ სანსკრიტულ ძ-ს ბერძნულში უპასუხებს ძ, მაგრამ ზოგჯერ შ-ც (მაგ. სასკრ. duhitār, ძ. შუგაზ्टერ) და ეს გამონაკლისიაო, ახალგაზრდა გრამატიკოსები აცხადებდნენ, რომ ფონეტიკურმა კანონებმა გამონაკლისი არ იციანო. ამით კი მყარდებოდა ერთი ზოგადი შესატყვისობის სურათი ინდოევროპული „ოჯახის“ შიგნით, ე. ი., ვთქვათ, ბერძნული მთლიანად შესატყვისება ლათინურს, სხვა ენებს და სხვ.; სინამდვილეში კი ფონეტიკური კანონები ოდნავალაც ვერ აქმაყოფილებდნენ არსებული ურთიერთობის მოვლენებს ამ ენებს შორის და მკვლევარნი უიმედობის და გამოუსავლობის ჩიტში ემწყვდეოდნენ: მაგ., სრულიად აუხსნელი რჩებოდა შესატყვისობა — ბერძნ. βαλανος 'რკო', —ლათ. panis, 'პური', ბერძნ. κε-φαλή — ლათ. ca-put, 'თავი', ბერძნ. ὑψελός — ლათ. altus, 'შალალი', ბერძნ. οὐρανός — ლათ. coelum, 'ცა', ბერძნ. ἔνθνος ლათ. populus 'ხალხი', ბერძნ. θάλασσα — ლათ. mare, 'ზღვა', ბერძნ. πῦρ — ლათ. ignis, 'ცეცხლი', ბერძნ. ἀδελφός — ლათ. frater 'ძმა', და სხვა მრავალი, რომელთა ჩამოთვლა ძლიერ შორს წაგიყვანდა.

ასევე მრავალი ენობრივი მოვლენები გერმანული ენის ლექსიკონიდან (თითქმის 1/3) სრულიად გაურჩეველია ინდოევროპეისტიკაში, მათი ჩამომავლობა და კავშირი რომელიმე ენასთან სიბნელითაა მოცული, ვინაიდან ერთსტადიური კელევით, სტატიკურად, ენაში მომხდარი ტრანსფორმაციების ანგარიშგაუწევლად არაფერი გამოიდის. პირიქით, გავითვალისწინებთ რა, რომ ენა ემორჩილება ერთი მთლიანი გლობოგონიური პროცესის კანონებს თავის განვითა-

¹ ბ. დელბრეუჯი, დასახელებული შრომა, გვ. 24.

² იქვე, 24.

რებაში, და ეს განვითარება ეკონომიურ ფორმაციებთან სტადიური განვითარების (ერთი სტადიოდან მეორეზე გადასვლით, ნახტომით) მციდრო კავშირში მიედინება,— მაშინ საესებით დამაჯერებელია და მეცნიერულად ნიშანდობლივი ენის ახალი მოძღვრების (იაფეტიდოლოგიის) დასკვნები საერთოდ ინდოევროპული სისტემის ქნების ბუნების შესახებ, რომ ისინი არიან იაფეტური სისტემის ენების მოძღვნონ სტადია, მათი ტრანსფორმაცია და განსხვავება ამ ენებს შორის იმდენად იჩენს თავს, რამდენადაც მათ შემოუნახავთ იაფეტური გადანაშთები, კერძოდ, გერმანულ ენას მციდრო კავშირი აღმოჩნდა კავკასიის იაფეტურ ენებთან¹.

ამგვარად, თვისობრივად განსხვავებულმა მეთოდმა, წინააღმდეგ ინდოევროპეისტიკისა, ენის ახალ მოძღვრებას (იაფეტიდოლოგიას) საშუალება მისცა ნათლად და ნიშანდობლივად გაერკეთ ერთი მხრით გლობოგონიური პროცესი და მისი სწრაფვა ერთიან ენის-კენ და მეორე მხრით — ამ პროცესში დაეჭირა ის ცვლილებანი, რაც გამოწვეულია სხვადასხვა სტადიების განსხვავების ნიადაგზე და რაც განასხვავებს ერთ ენას მეორესაგან. აღნიშნული მეთოდი იყო მეთოდი სემანტიკური პალეონტოლოგიისა, წარმოებული ოთხი ლინგვისტური ელემენტის (Sal, Ber, Yon, Roni ანუ A, B, C, D) შემწეობით: სიტყვის მნიშვნელობის და მისი (სიტყვის) აგების იდეოლოგიის რევერს სხვადასხვა სტადიებზე ადამიანის სამეურნეო ქმედობის და მასზე აღმოცენებული მისი მსოფლმხედველობის და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმების მიხედვით²).

როგორც ზევით აღნიშნეთ, ბოჰის მიერ გამომუშავებული შედარებითი მეთოდი ხაფუძვლად დაედო მთელ საენათმეცნიერო კვლევაძიებას ინდოევროპეისტიკში და ამ მხრივ ახალი აღარა შეუტანიათ რა.

¹ იხ. ამის შესახებ ნ. მარრი, Новый поворот в работе по яфетич. теории, 1931 г.; К вопросу об яфетидизмах в германских языках, ЯС. I, 1922 წ.

²) აქ მოკლედ ვეხებით ოთხ ლინგვისტურ ელემენტს, ვინაიდან იგი თავისთავდ იგულისხმება სათანადო დებულებების განმარტებებში, — ეს ერთი მხრით. მეორე მხრით — ეს საკითხი მეტად სპეციალურია, მოითხოვს დაწვრილებით ახსნაგანმარტებას და ამიტომ არ გვინდოდა მას გაკვრით შევხებოდით და მკითხველში ყოველ ნაბიჯზე ერთგვარი გაოცება გამოგვეწვია; ეს საკითხა ის საკითხი, რომელსაც ჩევნი მოწინააღმდეგებ ინდოევროპეისტები გააფთრებით ხასქიდებიან და, რომ ვერ გაუგიათ, თუ რას წარმოადგენს ეს ოთხი ლინგვისტური ელემენტი და რა უძლიერეს იარაღს აძლევს ხელში ლინგვისტ-მკვლევარს, — ხოგი აღვიმიად სახავს მას, ზოგი — მის მიფურჩებას ცდილობს; ამიტომ ცალკე საკითხად გამოვყავით ის და ცალკევე შევეხებით ახლო მომავალში,

თვით ისეთი უდიდესი უახლოესი ენათმეცნიერნი, როგორიც არიან ფ. დე-სოსა დური¹, ა. მექე² და ი. ვანდრი ესი ამავე ნია-დაგზე დგანან, ბოპის მიერ გამომუშავებული მეთოდი მათთვის გარ-დაუგალი დოგმაა და ა. შლაიხერი ის მიერ „დასაბუთებული“ სქემა კი ენათა გენეალოგიისა და წინარენის რეკონსტრუქციის შესახებ, ერთადერთი მეცნიერული ლირებულების მქონე მინაღწევი.

რაც შეეხება რუს ენათმეცნიერებს, ინდოევროპეისტიკაში შექ-მნილი და განმტკიცებული დებულებები მათ მიერ ერთიანად და უყოყმანოდ იქნა გაღმოტანილი რუსულ ნიადაგზე, ასე ვთქვათ, ინდოევროპულ „ენათმეცნიერებაში“ გამომუშავებული პრიციპების პოპულარიზაცია ხდება რუსეთის სინამდვილეში, ბრძან მისდევენ ყვე-ლაფერს დასავლურს და ახალი თითქმის აღარა შეაქვთ რა³. იქნებ სრულიადაც გაზვიადებული არ იყოს დ. პისარევის დასკვნა, რომ „გერმანელ ენათმეცნიერს თავისი შრომის თითოეულ გვერდზე მოჰ-ყავს სხვადასხვა მონათესავე ენებიდან აღებული ფორმების და სიტ-უკების შესატყვისობანი, და რუსიც იმასვე აკეთებს. მაგრამ გერმა-ნელმა თვით იპოვა ეს ფორმები და სიტყვები, რუსმა კი გაბედუ-ლად გაღმოწერა გერმანელის შრომა და არც კი შეამოწმა იგი, იმიტომ რომ არ შეუძლია ეს. უკეთუ ფორმების და სიტყვების ნა-სესხებ მწერლივებს მიუმატა შესატყვისი რუსული სიტყვები და ფორ-მები, მაშინ მის სახელს პატივისცემით იხსენიებენ . . . “⁴. ნეოგრა-

1 იხ. მისი კურსი ინგლისურ ენის ფრანგული გამოცემიდან, 1933 წ., თავი III, რეკონსტრუქციები, გვ. 196—199.

2 იხ. მისი ვведение в сравнит. грамматику индоевропейских языков, 1914 წ., გამოც. 2, ფონეტიკური ფორმულები, აგრეთვე მისივე, Les langues du monde, 1924 წ., წინასიტყვაობა.

3 ვამბობთ „თითქმის“, თუ მშედველობაში არ მივიღებთ სიტყვის, გრამა-ტიკული კატეგორიების და შესტყვებთა შესწავლის დაწყებას და მისი ახსნის ცდას ფორმულაციის მიერ (იხ. მისი Сравнит. языки и языкознание, 1897—98 წ.წ.), რი-თაც იგი ფორმალიზმის მამათმავრად იქცა და მის ფორმალიზმის ისეთი დიდი დიაკაზონი აღმოფენდა, რომ მთელ რუსულ საენათმეცნიერო სინამდვილეზე გად-მოიარა (შდრ. პეტერსონი, უშაკოვი, კუდრიავსკი, პეტ्रოვსკი და სხვ.) და საქარ-თველში მაგრად გაიდგა ფუსვები (ა. შანიძე—ქართული ენის გრამატიკა—1930 წ.; ა. ჩიქობავა, მარტივი წინადაღების პრობლემა ძეველ ქართულში—1928 წ., ზოგადი ენათმეცნიერება—1935 წ. და ჭანურის გრამატიკული ანალიზი—1936 წ. და სხვა მისი შრომები), — ეს ერთი მხრით; მეორე მხრით — ბოდუენე და კურუ ტენე ს პირველ ცდას ფონემის პრობლემის გადასაწყვეტად, რაშიც მან სრული მარცხი განიცადა, დადგა რა სუბიექტური იდეალიზმის პოზიციებზე და დაუკავშირა რა ფონემა არა სახოგადოებას, არამედ მოლაპარაკე ინდივიდს (მის შესახებ იხ. გა-შლილი კრიტიკა ი. ლოია სი „Против суб'ективного идеализма в языко-ведении“—კრებულში „Языковедение и материализм“—1929 წ.).

* Наша университетская наука“, თბილისი, 1912 წ., III, გვ. 33.

‘მატიკოსების დასკვნები ფონეტიკური კანონების მიმართ ფორმულან ტოვმა უყოყმანოდ გაიზიარა და რესეტის სინამდვილეში დანერგა; აი, რას ამბობს ის: „...სიტყვათა ბგერითი მხარის ცვალებადობა და მნიშვნელობათა ცვალებადობა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ხდება“¹. პირველ მოვლენათა განხილვა მან ფონეტიკას დაკისრა, მეორისა კი — სემასიოლოგიას, რომელთაც თურმე ერთმანეთთან არაფერი არ აქაშირებს². ფორმულატოვის აზრით ენის ისტორიის შესწავლა სიტყვათა ბგერითი მხარის ისტორიის შესწავლით უნდა დავიწყოთ და თუ რატომ, ამაზე ამბობს: „ენის ისტორიის შესწავლა უნდა დავიწყოთ სწორედ სიტყვათა ბგერითი მხარის ისტორიის შესწავლით, ვინაიდან ეს მოვლენები (ფონეტიკური. დ. კ.) ნაკლებ რთულია, უმეტესად ხელმისაწვდომია ნიშანდობლივი კელევისთვის შედარებით სიტყვათა მნიშვნელობის ისტორიით წარმოდგენილ მოვლენებთან ... ამიტომ ენის ისტორიის შესწავლას საფუძვლად უნდა დაედოს ამათუმ ენის ფონეტიკის შესწავლა³ და თვითვე დაეჭვებული ფონეტიკის ყოვლად შემძლებლობაში, განაგრძობს: „თუმცა თავისთავად ფონეტიკა გაგვაცნობს არა ენის ისტორიას, არამედ მხოლოდ ენის ბგერითი მასალის ისტორიას“⁴. ამრიგად, ფორმულან ტოვმა გამოთიშა რა ფონეტიკა (კალკე დარგად, დაუსახა რა (უკეთ, გაიზიარა რა უკვე ნათქვამი) მეტად პასუხსავები ამოცანები (ენის ისტორიის შესწავლა, მაგალითად) და აღიარა რა ის საენათმეცნიერო კვლევის პირველ — სავალდებულო ფუძედ, ცხადია, პირდაპირი გზით მიერიდა ფონეტიკური კანონების აღიარებადისაც და სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ნეოგრამატიკოსები: „... ამასთან, გასაგებია (ხაზი ჩვენია დ. კ.), რომ ფონეტიკურ კანონს არ შეიძლება ნამდვილი გამონაკლისი ჰქონდეს, და მოსაჩვენარი გამონაკლისები წარმოადგენება ან სხვა ფონეტიკური კანონის მოქმედებას⁵, ან სიტყვათა ბგერითი მხარის არაფონეტიკურ ცვალებადობას, ან ნასესხობას სხვა ენიდან ან იმავე ენის სხვა კილოდან“⁶.

ცნობილია, რომ ნეოგრამატიკოსებმა ფონეტიკური კანონები ფეტიშად აქციებს; ეს, მათ მიერ დადგენილი, კანონები, მათი აზრით,

¹ იხ. მისი—Краткий очерк сравнительной фонетики индоевропейских языков, 1922 წ., გვ. 1.

² იქვე.

³ იქვე გვ. 3.

⁴ იქვე.

⁵ აქ ფორმულატოვმა ცნობილი დანიჭლი გნათმეცნიერის კერნერის აზრი გაიმუშავა.

⁶ იქვე.

მარადიული არიან, გამონაკლისებს არ შეიცავენ და ვერც იტანენ მათ.

სწორედ ამ გარემოებამ შეიყვანა ჩიხში ინდოევროპეისტიკა; სახელდობრ, შემდგომმა კელევებმა იმდენი გამონაკლისი დააგროვა, რომ მათან შედარებით „დაღგენილი კანონები“ უფრო მცირე-რიცხოვანი აღმოჩნდნენ. დამყარდა უიმედობა ენათმეცნიერებაში. დიიწყო კრიზისის ხანა, რომელიც დღემდის გრძელდება. ამ გარემოებას თვით ა. მეცეც ველარ მალაგს და იძულებულია თქვას: „ინდოევროპულ ენათა შედარებით გრამატიკაში ცოტაა ისეთი შესატყვისობები (rapprochements), რომელიც რომელიმე მხრით არა კოჭლობდნენ“—ო¹.

ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია და შედარებითი შეთოდი ინდოევროპეისტიკაში გაბატონებული, ასევე უყოფმანოდ იყო გაღმონერგილი და გაზიარებული; მაგ., ფორტუნატოვი მთელი თავისი „დამაჯერებლობით“ ამბობს, რომ გერმანული, ბერძნული, ინდური, ლიტურული და სხვა ინდოევროპული ენები ერთად ქმნიან ენათა ინდოევროპულ ოჯახს . . . ამ ოჯახის ყველა ენათა შედარებით—ისტორიული შესწავლის გზით ენათმეცნიერი იმ ენის აღდგენას აწარმოებს, რომელიც ენათა ამ ოჯახის მამამთავარი (родоначальник) იყო, საერთო ინდოევროპული ენაო². ამ წინარენას ფორტუნატოვი სრულ რეალობად წარმოიდგენს, ასწერს მას, მის შემადგენელ ელემენტებსაც კი და „წარმტაც“ სურათსა ხატავს: „ინდოევროპულმა ენებმა ცალკე სრულ სიტყვებთან ერთად საერთო ინდოევროპულ ენიდან მიიღეს სრული სიტყვების განსაზღვრული გრამატიკული კლასებიც . . . საერთო ინდოევროპულ ენაში მისი დაშლის ეპოქაში ირჩეოდნენ შედევები უმეტესად საერთო გრამატიკული კლასები ცალკე სრული სიტყვებისა“ და ჩასმოთვლის: უღვლილებადი სიტყვები,—ზმნები, სახელარსებითი ბრუნებადი სიტყვები, ზედსართავები, ირიბი კილოს ფორმები, პირდაპირი კილოს ფორმები, ღროები: აწმუნ, ნამყო და მყოფადი, ბრუნები: ირაბი: ბრალდებითი, ნათესაობითი, მიცემითი, ალლატივუსი, მოქმედებითი და ადგილობითი, პირდაპირ ბრუნებში — სახელმობითი, სქესები: მამრ., დედრ., სამუალო, ზმნის-სართები, უფორმო სიტყვები და სხვ.³.

რაც შეეხება ახალს, რაც ინდოევროპულმა „ენათმეცნიერებამ“ შემოიტანა (დე-სოსეური, მეცე, ვანდრიესი და სხვ.) მე-20 ს. დასაწ-

¹ A. Meillet. La méthode comparative en linguistique historique, тხლო, 1925, გვ. 65.

² იბ. მისი—Сравнительное языкознание, 1897—98 წ. წ., გვ. 7.

³ იქვე, 214—220.

ყისიდან დღემდის, ეს იყო წინააღმდეგ ახალგაზრდა გრამატიკოსების (ბრუგმანი, ისტგოფი, პაული და სხვ.) ინდივიდუალისტური კონცეპციისა, ენის სოციალურობა, ენის გაგება, როგორც ურთიერთობის იარაღისა კოლექტივში. დე-სოს ჭრიც, მეცეც ძვან დრიესიც ენას უყურებენ, როგორც სოციალურ მოვლენას, მაგრამ მათთვის უცხოა სტატიალობა ენაში, ენის კლასობრიობა, უცხოა ენის კავშირი ჰსოც.-ეკონომიურ ფორმაციებთან და მისი ცელა ამ უკანასკნელთა ცვლასთან ერთად. მაშასადამე, მათ არ ესმით ენა, როგორც ცვალებადი და ზედნაშენი რიგის კატეგორია. მაგ., დე-სოს ჭრი პირდაპირ ამბობს: „ფაქტიურად ყოველმა საზოგადოებამ იცის და ყოველთვის იცოდა ენა, მხოლოდ, როგორც პროდუქტი, რომელიც დამკიდრებულია წინამავალ თაობების მიერ და უნდა მიღებული იქნეს ისეთად, როგორიც ის არის. აი, რატომ ამდენად არამნიშვნელოვანია ენის წარმოშობის საკითხი, როგორც ეს ჰგონიათ,“ (დასახელებული შრომა. გვ. 82), „ . . . ენაში თითოეული იღებს მონაწილეობას ყოველ წუთს, რის გამო ენა მუდმივ გავლენას განიცდის ყველასას. ეს ერთი ძირითადი ფაქტი საკმარისია, რომ უჩვენოთ მასში რევოლუციის შეუძლებლობა. ყოველგვარი სოზოგადოებრივი დაწესებიდან (ყოსილები) ენა უმცირეს არეს წარმოადგენს ინიციატივისთვის. არ შეიძლება მისი მოცილება საზოგადოებრივი მასის ცხოვრებიდან, რომელიც, არის რა ბუნებით ინერტული, უპირველესად ყოვლისა გამოდის, როგორც კონსერვატული ფაქტორი“ (გვ. 83). აქ ყველაფერი ნათელია და გასაგები; დე-სოს ჭრის აგან ამის მეტს არც მოველით, ენიადან მას გასაქანს არ აძლევს ბურზუაზიული მსოფლმხედველობა.

ენის ახალმა მოძღვრებამ ინდოევროპული „ენათმეცნიერების“ იდეალისტურ და მეტაფიზიკურ კონცეპციებს, რაც შედეგი იყო იმ იდეოლოგიის, იმ მსოფლმხედველობის და საბოლოო ანგარიშში—იმ საზოგადოებრივ - სოციალურ - ეკონომიური გარემოცვისა, რომლის წიაღში ვითარდებოდა და ვითარდება იგი,—დაუპირდაპირა დიამეტრულად მოწინააღმდეგ შეხედულებები, მიღებული ენობრივი ფაქტების სასტრიქად მეცნიერული (ე. ი. მარქსისტული) კვლევაძიების და ანალიზების შემთხვებით, რაც შედეგია ღლმავალი კლასის, სოციალიზმის გზაზე ზეიმით მავალი პროლეტარიატის იდეოლოგიისა და მსოფლმხედველობისა, სოციალისტური მშენებლობის უაქტუალესი ამოცანების დასმისა და მათი გადაწყვეტისა.

ენის ახალი მოძღვრების (იუზეტიდოლოგის) ძირითადი დებულებანი.

1. ენა—იდეოლოგიური ჯედაზენა.

ენა ერთერთი იდეოლოგიური ზეღნაშენია და მისი განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული და შეპირობებული წარმოების გვარობისა და საწარმოო ურთიერთობათა ფორმებით, რომელთა დიალექტიკას იგი ასახავს. ამასთან, საწარმოო ურთიერთობანი ენის დიალექტიკას აპირობებენ არა უშუალოდ, არამედ ამ ურთიერთობებთან გენეტიკურად დაკავშირებული აზროვნების მეშვეობით.

ენა შექმნილია იმ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რაც ადამიანს უჩნდებოდა მატერიალური არსებობისათვის ბრძოლაში სათანადო აზროვნების გვარობის ნიადაგზე: „ენა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ გარეშე იმისა, რომ იგი განუყოფლადაა დაკავშირებული აზროვნებასთან, ზეღნაშენია წარმოებისა და საწარმოო ურთიერთობათა ყველა მხარეებისა და მომენტებისა“¹.

მატერიალურ ბაზისში მომხდარი ცვლილებანი თავისებურ ცვლილებას იწვევენ ადამიანის აზროვნებაში, გარდაქმნიან მას თვისებობრივად და ეს პროცესი თავისებურადვე აისახება იმ საურთიერთო იარაღში, რომელსაც მეტყველება ეწოდება. ეს უკანასკნელი ახლებურად დაიწყებს ცვლა-აგებას, ე. ი. განვითარებას, ვიდრე ახალი ძვრა ბაზისში არ გამოიწვევს მასზე აგებულ ზეღნაშენის ხელახლა ცვლა-გარდაქმნას: „შენაცვლებას მატერიალურ ბაზისში (გვაროვნულ-ტომობრივი წყობილება→ფეოდალური სახელმწიფო→ქალაქების აღმოცენება—კაპიტალიზმი. დ. კ.) მისდევს ენა-აზროვნების განვითარება, მისი უწყვეტი განვითარება დიალექტიკურ-მატერიალისტურ ხლართებში—სტალინის მიხედვით რომ მოძრაობს დროში.... და სივრცეში....“². წარმოება მარქსის გაგებით—ეს არის მთელი პროცესი

¹ 6. მარრი. Язык и современность, 1933, № 35.

² იქვე, № 31.

აღამიანის ურთიერთობისა ბუნებასთან და მის საწარმოო ძალებთან
საერთოდ, აქტიური პროცესი გარემოცულ ბუნების მიმართ. ამ ურ-
თიერთობაში აღამიანს თანდათან უმუშავდებოდა მთელი რიგი ჩვევე-
ბისა და გამოცდილებისა, რაც სათანადოდ გადატყდებოდა მის ცნო-
ბიერება-აზროვნებაში; მაშასალამე, დამოკიდებით ცხოვრების იმ პი-
რობებისაგან, რომელშიც აღამიანი იყო მომწყვდეული, მას უმუშავ-
დებოდა სათანადო იდეოლოგია, მსოფლმხედველობა და ამ უკანას-
კნელის ჩამოყალიბება და ახალი საფეხურის დაწყება მაშინაა მხო-
ლოდ შესაძლებელი, როცა უკვე არსებობენ სათანადო მატერიალური
პირობები. ყოველგვარი ე. წ. სულიერი კულტურის დარგები, მაგ.,
რელიგია, ფილოსოფია, უფლება, ეთიკა და სხვ. სხვადასხვა ფორმე-
ბია, რომელსაც იღებს იდეოლოგია წარმოებისა და საწარმოო ურ-
თიერთობათა განვითარების მიხედვით.

მეტყველება უშუალოდ უკავშირდებოდა პირველყოფილი აღამი-
ანის წარმოებას; პირველყოფილი მცირე მარაგი სიტყვებისა გამოიყე-
ნებოდა ჯერ მისნური რიგის ურთიერთობაში (ამაზე უფრო დაწერი-
ლებით ქვევით), მისნობა კი ტოტემურ კოლექტივში საცხებით განსა-
ზღვრავდა ამ კოლექტივის საზრიანობას. მეტყველება (ხმიერი) ამ ღროს
არ იყო ჯერ კიდევ საურთიერთო იარაღად და როცა იგი ასეთად იქ-
ცა, იგი უკვე სრულიად დაუკავშირდა აზროვნებას და მასთან ერთად
ერთი მთლიანობა შექმნა: უკვე შეპირობებულია მისით და ურთიერთ-
მოქმედებაშია მასთან, "... აზროვნება იზოლირებული არა თავისში,
როგორც აბსტრაქცია, არამედ გამოვლენილია ენასა და მის ტექნიკა-
ში..."¹. ენის ფესვები უშუალოდ გაშლილია აზროვნების და მსოფლ-
მხედველობის ნიადაგში და მისი მეოხებით უკავშირდება ბაზისს: "...
ფესვები არა ზოგადად ენის, ამასთან მისი დღევანდელი მეტყველებით,
არამედ კონკრეტულად დასახული მთელი ენის და თითოეული კონ-
კრეტული ენისა კაცობრიობის სიცოცხლის მთელ მანძილზე მისი თავ-
დაპირველი ყოფილან დაწყებული, თითოეული ტერმინის ფესვები,
უკვე ზედნაშენური სამყაროს მოვლენის, როცა ლაპარაკია მის თავ-
დაპირველ აღმოცენებაზე, და შენდება, მაშასადამე, გენეტიკური ანა-
ლიზი საჭირისების ისტორიით,—იმყოფება პირველყოფილი საზოგადო-
ების აზროვნებაში და მსოფლმხედველობაში, ე. ი. ტოტემურ აზროვ-
ნებაში"².

¹ ნ. მარი. В тупике ли история материальной культуры, 1933, 83. 5.

² იქვე გვ. 49.

ამგვარად კაცობრიობაში თავისი ენა შექმნა განსაზღვრულ საწო-
გადოებრივ-სამეურნეო პირობებში და სცვლის მას ცხოვრების, ყო-
ფის ახალი საზოგადოებრივი ფორმების დამყარებასთან ერთად ახალი
აზროვნების მიხედვით ¹.

2. თითოეული ენა ერთიანი გლოტოგონიური (ენის შემოქმედები— თი) პროცესის სფრაულებიანი მონაშილეა.

თითოეული, ახლა კაპიტალისტურ გარემოში ჩამორჩენილად და
უმნიშვნელოდ მიჩნეული ენაც კი ერთერთი რეგიონია და მონაშილე
ენის შემოქმედების (გლოტოგონიის) ერთიანი უწყვეტი პროცესისა,
რომელიც მოედინება დღიდან მეტყველების წარმოშობისა; ამ ზოგად-
საკაცობრიო გლოტოგონიის გარეშე არც ერთი ენა არ აღმოცენებუ-
ლი და არა მხოლოდ ხმიერი მეტყველების სხვადასხვა სისტემა, არა-
მედ წარმოების იარაღის მიხედვით სხვადასხვა ენა: ხელის ენა, ხმიე-
რი ენა, მხოლოდ ცალკეული რეგიონის მეტყველების შემოქმედების
ამ გრანდიოზული მონისტური პროცესისა.

თუ როგორ მიედინება ეს პროცესი, ამას ცხადჰყოფს ერთი კლა-
სიკური ადგილი: როცა არჩევს გენერალოგიურ ტაბულას, აკად. მარ-
ტი ამბობს: „ტაბულის მიხედვით შეიძლება ვითიქროთ, რომ თითო-
ეული ენა ან ენათა თითოეული ერთტიპიანი ჯგუფი წარმოადგენს
ახალი სისტემის მიხედვით ჩამოყალიბებულ მეორე სისტემის ნაშრობს,
თითქოს განვითარების პროცესს პერიოდების საკვანძო შემოქმედებით
დავანებები, სხვადასხვა შემოქმედებითი ეტაპები, რომელთა შორის
მხოლოდ გაყინვაა. ნამდვილად კი ეს დავანებები ანუ ეტაპები — მხო-
ლოდ მოსაბრუნია ანუ რევოლუციური. ისინი აფეთქებენ დამდგარ გა-
რემოს და ახალ გზებს აჩენენ, რომლებზედაც თანდათან გვარდება ახა-
ლი ტიპის ჩამოქნა და განვითარება; ამავე გზებზე ისახება განშორება,
ანტითეზის აღმოცენება თეზისის გვერდით, რომელიც ბრძოლის შე-
დეგად იძლევა ახალ გადაწყვეტას რევოლუციურ ძვრაში შემდგომ სა-
კვანძო დავანებაზე. შემოქმედება თვით მოძრაობაშია, არა დავანებებ-
ზე, როგორც არაა იგი დასაწყისში, არამედ მასალის უწყვეტი დაგ-
როვების და დინამიკის პროცესში. დასაწყისში — არათერი“ ².

¹ იხ. Яфетич. теория, 1927 (ბაქოს კურსი), გვ. 130; К бакинской диску-
сии о яфетиологии и марксизме, 1932, გვ. 25; Язык и современность,
1932, გვ. 12, 14—15, 38—39; ენა და აზროვნება (ქართული თარგმანი), 1934, გვ.
14, 17, 18, 24, 34, 42 და სხვა წრომები.

² იხ. Яфетич, теория, 1927 (ბაქოს კურსი), გვ. 76—77.

ამ სიტყვებში მთელი თავისი სისაცსით გამოსჭივის დიალექტიკის ძირითადი კანონები, რომლის მიხედვითაც ნაწარმოებია ენის კვლევა და გამომზეურებულია ის ფაქტი, რომ მსოფლიოს კველა ენები ერთი-ანად მონაწილენი არიან ამ დიალექტიკური პროცესისა და ამტომ ერთმანეთს უკავშირდებიან.

ამგვარად გამოიცალა საფუძველი რასულ ოეორის ენათმეცნიერებაში, წინარენას, წინარესამშობლის და ენათა სისტემები განისაზღვრა, როგორც ადამიანის მეტყველების განვითარების ძირითადი ეტაპების დანალექები, რომელიც უპასუხებენ სამეურნეო ცხოვრების გვოლუციის, საზოგადოებრივი ფორმების და სათანადო მატერიალური და ზედნაშენი ტექნიკის ძირითად ეტაპებს¹.

3. ხელის ერთ თავდაპირებელი საზუალება ურთიართობისა და მიზანი მიზანებელება მისი დიალექტიკური განვითარება.

მეტყველების აღმოცენება-განვითარების მთლიანი პროცესი შეიცავს ორ ძირითად პერიოდს: ერთია — კინეტიკური მეტყველების პერიოდი, რომლის უკანასკნელი და უმაღლესი განვითარების საფეხურია ხელის ენის საფეხური და მეორე — ხმიერი მეტყველების პერიოდი.

კინეტიკური მეტყველების პერიოდი თანხვდენილია პალეოლითის ხანასთან მისი პრიმიტიული საზოგადოებრივი და სამეურნეო ცხოვრებით და მათთან შეფარდებული აზროვნებით. კინეტიკური მეტყველების ხანგძლივი ასესბობა (ასეულ-ათასეული წლები) აზრების წარმოშობის და მათი განვითარება-განმტკიცების წყაროს წარმოადგენს და თუ ტექნიკურად ხელი მოქმედებდა, იდეოლოგიურად ყველაფერი დამოკიდებული იყო საზოგადოებრიობაზე, მაშასადამე, საბოლოო ანგარიშით სამეურნეო წყობაზე. მაგრამ „აზრის სრული გამოთქმა,— ამბობს აკად. ნ. მარრი, — ჯერ კიდევ ვერ ხერხდებოდა, მოქმედება არ იხატებოდა, ე. ი. არ იყო ზმნა, შემასმენელი; უფრო მეტი — არ იყო სუბიექტი, ე. წ. ქვემდებარე სქოლასტიკური გრამატიკით. მაშ, რაღა აზრი იქნებოდა, თუ არ იყო მოქმედება — შემასმენელი, ზმნა და სუბიექტი — ქვემდებარე. სრულიად უბრალოდ: მოქმედება იყო, მაგრამ არა მეტყველებაში, ფრაზაში, არამედ საზოგადოებაში; მაგრამ არც ეს მოქმედება, არც ეს სუბიექტი დამოუკიდებლად არა მელავნდებოდა მეტყველებაში, ხელის ენის მიერ არა მულავნდებოდა წარმოების და საწარმოო ურთიერთობების გარეშე: კმაყოფილდებოდნენ საწარმოო იარაღზე მითითებით, როგორც მოქმედებაზე (შრომის პროცესი, შემ-

¹ იქვე, გვ. 22.

დეგ წინადაღებაში შემასმენელი, დამოუკიდებლად ზმნა, მეტყველების ნაწილი) და მშრომელ კოლექტივზე, როგორც სუბიექტზე, (შეძლებული წინადაღებაში — ქვემდებარებული მეტყველების ნაწილი — სახელი არსებითი). მაშ, რა გამოითქმოდა მეტყველებით, მაშინდელი ხელის ენით? ობიექტი, მაგრამ არა ჩვენი აზროვნების ნიშანდობლივი წარმოდგენის მიხედვით, როგორც „დამატება“, არამედ როგორც კომპლექსი მიზნის, ამოცანისა და პროდუქციისა (მოხმარების სავნისა): მიზანი — ბუნების „საჭარმოო“ ძალთა მომსახურება (შეძლებული ტოტების, ახლა მაშინდელი ეპოქების წარმოდგენაში — მისნური ძალების), ამოცანა — საჭირო მასალის დამუშავება და პროდუქცია-მილებული პროდუქტი, ობიექტი და იგივეა „შედეგი“¹.

რაც შეეხება ხმიერ ენას, ივი ცარიელ აღგილზე კი არ აღმოცენებულა, არამედ ხელის ენის საფუძველზე, მის მიერ ნამემკიდრევ იღეოლოგიაზე იგებოდა. სიტყვები იქმნებოდა ხმიერი მეტყველების ხელის ენისაგან თანდათან მიმღინარე დიალექტიკურ გაყრა-განშორების პროცესში და ხმიერი მეტყველების ელემენტები ჯერ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ მაშველ მასალად გამოიყენებოდა ხელის ენის მიმართ; ეს ელემენტები გამოიყენებული იყო მისნური რიგის საგანთა და წარმოდგენათა ვიწრო წრეში. და როცა ხმიერი მეტყველება გამოვიდა მისნურ მოთხოვნილებათა სამყაროში, იგი უკვე გაულენთილი აღმოჩნდა ხელის ენის ყველა მინაღწევებით: სიტყვები — ესაა ხელის ენის სიმბოლოების გადაყვანა ხმიერ სიმბოლოებზე. თითქმის ყველა მოქმედების აღმნიშვნელი ზმნების ძირები ხელთან ადიან, ხელის მოძრაობასთან არიან დაკავშირებულნი (მაგ., ქართ. მი-ე-კარა-, შე-ა-ჩერა-, მ-ო-უ-წოდ-ა და სხ., რუს. უ-კა ა-ლ, უ-და რ-ი ლ და სხვ.).

ამგვარად, ხმიერი მეტყველება ჩაისახა ხელის ენის გარემოში, როგორც მისი ანტითეზა, თანდათან განვითარდა, მოიპოვა გაბატონებული პოზიციები და დიალექტიკურად მოხსნა იგი, ვინაიდან ხელის ენა ველარ აკმაყოფილებდა გაროულებულ მოთხოვნილებებს (მსხვილი ნადირობა, დიფერენციაცია კოლექტივის შიგნით და სხვ.). აღნიშვნული დებულება მოპოვებულია აუარებელი ენობრივი ფაქტების ანალიზებით და მთლიანად დამყარებულია კ. მარქსის კლასიკურ თქმაზე: „არც ერთი საზოგადოებრივი ფორმაცია არ იღუპება იმაზე აღრე, ვიდრე არ განვითარდებიან ყველა საჭარმოო ძალები, რომელთაც ის აძლევს საკმაო გასაქანს, და ახალი, უმაღლესი საჭარმოო დამოკიდებულებანი არას დროს არა ჩნდებიან ქვეყანაზე იმაზე აღრე, ვიდ-

¹ იხ. ენა და აზროვნება, გვ. 41

რე არ მომწიფდებიან მათი არსებობის მატერიალური პირობები თვით ძველი საზოგადოების წიაღში”.

იაფეტიდოლოგია რომ აღნიშნულ დასკვნასთან მისულიყო, სა-ჭირო იყო მთლიანად, ძირფესვიანად გამოეცვალა ის შეხედულებანი და მეთოდი, რაც ასეთუისე კიდევ აახლოებდა ინდოევროპეისტიკას-თან და ეს მან მოახდინა 1920 წელს¹. ამის შემდეგ ენის შემოქმედე-ბის (გლოტოგონიის) მთლიანი და უწყვეტი პროცესის ჩავევა შეიქმნა ძირითად საკითხად იაფეტიდოლოგიაში, რაც ხერხდებოდა და ხერ-ხდება მეტყველების პალეონტოლოგიური მეთოდით, რომელიც არა მხოლოდ საანალიზო საშუალებაა ცალკე სიტყვებისა, არამედ მკვეთ-რი იარაღია ენის შემოქმედების პროცესის მთლიანი სურათის დასა-ხატად, იმ გზების აღმოსაჩენად, რომლითაც მომდინარეობს ენის გან-ვითარება საერთოდ. მეტყველების პალეონტოლოგია ააშეარავებს და ამჟღავნებს კანონზომიერებათა ცვლებს ენაში სტადიების მიხედ-ვით; გამოირკვა, რომ, რაც კანონზომიერია ერთ სტადიაზე, ის ყო-ველგვარი კანონზომიერების გარეშე მდგომად მოჩანს მეორე, მომდევ-ნო სტადიაზე, ვინაიდან ენაში ყველაფერი იცვლება და არაფერია მასში მარადული: იცვლება სინტაქსი, მორფოლოგია, ფონეტიკა, სი-ტყვის მნიშვნელობა და სხვ.; ამიტომ, ცხადია, რომ უკეთუ მკვლე-ვარს არ გააჩნია ისტორიული პერსპექტივა, ის მიმდინარე სტადიაზე ენის კვლევისას ბევრ რამეს წარმოიდგენს ანომალიად, უკეთეს შემთ-ხვევაში გამონაკლისად საერთო ნორმებიდან და აქედან დასკვნის, რომ იგი ანალოგიით განვითარებული ფორმაა, ნასესხებია სხვა ენა-დან (ან კილოდან) და არა ამ ენაში ჩარჩნილი გადანაშთი წინა სტა-დიებიდან, როცა იგი სავსებით კანონზომიერი იყო².

მაგრამ მეტყველების პალეონტოლოგია ცარიელ სიტყვად დარ-ჩებოდა, მას არავითარი ნიადაგი და მნიშვნელობა არ ექნებოდა, უკეთუ არ ექნებოდა ისეთი საშუალება, რაც მას აკუთნებს სიცოცხ-ლიანობას და ენათმეცნიერებაში შეუნაცვლებელ როლს. ეს საშუა-ლებაა ოთხი ლინგვისტური ელემენტი.

ჩეველებრივ ახლა მიღებულია სიტყვის დაყოფა მხოლოდ ფორ-მალური ნიშნებით და იგი დღესდღეობით გაბატონებულია გრამა-ტიკის სახელმძღვანელოებშიც; ავიღოთ მაგალითი: დაწერ-ილი,

¹ იხ. ნ. მარრი. Яфетический Кавказ и третий этнический элемент в созидании средиземноморской культуры,-კრებულში—По этапам развития яфетической теории, 1926 წ., განსაკუთრებით გვ. 38—39.

² იხ., მაგ., პროფ. აკ. შანიძე. სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობი-ექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნაში, 1920, თავი IV: ანომალიები ძველს ქართულში, გვ. 84—130.

აქ და—არის პრევერბი, წერ—ძირი სიტყვისა, ილ—სუფიქსი და-ბოლოებათ. და აქ სვამენ წერტილს, არავითარი ახსნა სიტყვის წარ-მოების ისტორიაზე, თუ რატომ შეიქნა საჭირო ძირზე (-წერ-) კრი-ალოსანივით ასხმა ელემენტებისა თავიდან და ბოლოდან. ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ეს ნაწილაკები ერთ დროს, სათანადო სტადიებზე დამოუკიდებელი, და ახლა გამოფიტული, შინაარსს მოკლებული სიტ-ყვებია, რომლებიც ძირეულ მნიშვნელობის მატარებელ სიტყვას (წერ—სათანადო მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა) დაერთოუნენ თა-ვიდან თუ ბოლოდან და ხმარების პროცესში გადაგვარღნენ ისე, რომ ახლა მათი ჩათვლა ცალკე სიტყვად ბევრს უაზრობად ეჩვენება; ამას კი არკვევს მეტყველების პალეონტოლოგია. მაშასალამე, ლინგვისტუ-რი ელემენტი არის ის უჯრედი, რომლიდანაც სიტყვა შედგება, თუ მას მხოლოდ ერთი ძირი აქვს ყოველგვარი ნამატის გარეშე, მაგრამ იგი შედგება რამდენიმე ელემენტისგან, თუ მას მართლაც გააჩნია ასეთები (როგორც ალებულ მაგალითში: და-წერ-ილ-ი—ოთხი ელე-მენტია).

მთელი ათეული წლების განმავლობაში ჩაკირკიტებულმა მუშა-ობამ მრავალ ენაზე აკად. მარრი მიიყვანა იმ დასკვნამდის, რომ ენები თავისი განვითარებით სხვადასხვა სტადიებზე დგანან და თვით ერთი ენის ფარგლებშიაც ჩანს ეს სტადიები. ამას გარდა, ზოვიერთ ენას უფრო შეუბლალებად მოუტანია, მიუხედავად ათასგვარი ქარტე-ხილისა, უძველესი სახე, ზოგს კი ცვლილებით—ამათუმიმ ზომით. უფ-რო ნათლად ეს პროცესი ჩანს იაფეტური სისტემის ენებში, ვინაი-დან ისინი უძველესი სისტემისა არიან და პირველყოფილობას უმეტე-სად ამჟღავნებენ. ამ ენების ძირითადი ლექსიკური ფონდის გადათვა-ლიერებამ და ლრმად შესწავლამ ცხადი გახადა, რომ ოთხი ელემენ-ტი—ძირი: სალ, ბერ, თონ, როშ არის ის ფუძე, რომელზედაც აშენდა მთელი სიტყვიერი მარაგი ენებისა. ეს ოთხი ელემენტი თავი-სი ნაირსახეობებით არის ის ქარგა, რომელზედაც საუკუნეების გან-მავლობაში ნაირნაირი სიტყვები იქსოვებოდა საჭიროებისდა მი-ხედვით.

ახალი იარაღი, შექმნილი და ჩართული წარმოებაში, ადამიანის მიერ უსახელოდ რჩებოდა დიდხანს; წარმოებაში კი ჩართო, იხმა-რება, მაგრამ სახელი ან სხვა მსგავსი იარაღისა აქვს, ან სულ არა აქვს; შემდეგ გადადის იგი სავსებით ცნობიერებაშიც, იქმნება სახელი მის-თვის ფუნქციური სემანტიკის კანონის მიხედვით (იხ. ქვევით, თავი 8), მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს აქ ის უდიდესი დამსახურება იაფე-ტიდოლოგიისა, რომელიც მას მიუძღვის მეცნიერების წინაშე: იქმ-

დის არსებული ფორმალური კვრეტა ყოველგვარი მოვლენისა, მისი ვარეგანი მთარის გამომეუღვნება, მხოლოდ ფონეტიკური და მორფოლოგიური მომენტის წინ წამოწევა ყოველგვარი შინაარსობრივი, იდეოლოგიური შთარის უგულებელყოფით, რაც ბატონობდა და ახლაც ბატონობს ინდოევროპულ „ენათმეცნიერებაში“, აკაც. 6. მარტი საბუთიანად დაამსხვრია და ააგო ახალი, იქამდის უჩვეულო მოძღვრება ფორმის და შინაარსის (იდეოლოგიის) ერთიანობით: „ენის ძველი მოძღვრება სამართლიანად ამბობდა უარს აზროვნებაზე, როვორც თავისი კომპენტენციის საგანზე, რაღანაც მეტყველებას იგი აზროვნების გარეშე სწავლობდა“¹. „როგორ თუ აზროვნების გარეშე? სიტყვათა მნიშვნელობას ხომ არა თუ სწავლობდნენ, არამედ ამ მნიშვნელობათა შესასწავლად განსაკუთრებული დარგი შექმნეს და მისთვის განსაკუთრებული ტერმინი „სემანტიკა“? მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ ძველ მოძღვრებაში ფონეტიკის კანონები (ბეგრითი მოვლენების კანონები) არსებობდნენ, მაგრამ არ იყო სემანტიკის კანონები – ამათუმ აზრიანობის (смысла) ალმოცენების კანონები, მეტყველების და შემდეგ მისი ნაწილების, მათ რიცხვში სიტყვებისაც, გააზრების კანონები. სიტყვათა მნიშვნელობას არავითარ საზოგადოებრივ-იდეოლოგიური დასაბუთება არ მოებოვებოდა. ენის ახალი მოძღვრება კი აზროვნების პრობლემასთან დიალექტიკურად მიდის, ჰყოლს რა მას უფრო რთულ საკითხად (სიმართლე რომ ვთქვათ, გაერთიანებული რომაა ჩენი წინდაწინ მხა, ცრუ წარმოლგენით) ადამიანის მეტყველების წარმოშობის შესახებ, ე. ი. აზროვნება—ენის შესახებ, და საკითხად — უფრო გვიანი, მასსა და აზროვნება-ენას შორის შუალედში, შენაცვლებების შესახებ აზროვნების ტექნიკისა“².

სიტყვის შინაარსს და მის ცვალებადობას სხვადასხვა სტადიებზე გავლით, აგრეთვე მისი ფორმის ცვალებადობას იმავე სტადიებზე და ამავე დროს ამათუმ სიტყვაში სხვადასხვა ეთნიური ერთეულის ან სოციალური ფენის შენატანს ამ სიტყვის ძირზე თავისი საკუთარი სიტყვის დართვით,— მხოლოდდამხოლოდ ოთხი ლინგვისტური ელემენტის მეზებით გამოვამეუღვნებთ; ამგვარად, თითოეული სიტყვის ისტორიას (წარმოშობა-განვითარებას) ფეხდაფეხ მივჰვებით და ამითვე გამოირკვევა ადამიანის წარსული ყოფა მისი მსოფლი

¹ 6. მარტი, ენა და აზროვნება, გვ. 23.

² 6. მარტი, ჩვენი და აზროვნება, გვ. 12.

მხედველობით და საზოგადოებრივ-საშეურნეო განვითარების დონის ამათუში ხარისხით.

ხელოვნური იარაღების როლი ხმიერი მეტყველების ჩამოყალიბება-განვითარებაში, ცნებების წარმოშობაში და სხვ. იაფეტიდოლოგიამ ჯერ კიდევ 1925 წელს წამოსწია¹ და შემდეგ ხანებში სისტემატურად ანგითარებს მას; ამავე დროს დადგენილი იქნა ენის კავშირი (უკეთ—ერთიანობა) აზროვნებასთან და ამგვარი ორმაგი კავშირი მეტყველებისა, ერთი მხრით—ხელოვნურ იარაღებთან (წარმოებასთან) და მეორე მხრით—აზროვნებასთან (იდეოლოგიასთან) აადვილებს ოთხილინგვისტური ელემენტის ბუნების გავებას: ხელოვნური იარაღების გამოყენებამ და ფართოდ გავრცელებამ ხელი შეუწყო აზროვნების ძირითადი კატეგორიების—ობიექტის, მიზეზის, შედეგის და სუბიექტის გამოყოფა-გამოცალკევებას სინკრეტულ მდგომარეობიდან; ოთხივე არსებობდნენ, წარმოებაში ჩაელურად და სათანადოდ აისახებოდნენ აზროვნებაშიაც და, მაშასადამე, მეტყველებაშიც.

ამგვარად, დიფუზური კომპლექსური ამოძახილები, რომელნიც გამოყენებული იყვნენ გართულებულ ნალირობაში, როგორც სიგნალიზაციის ელემენტები, და მისანთა წრეში, შემდეგ მიემაგრნენ აზროვნების ოთხ ძირითად კატეგორიას; ამით გზა გაეხსნა მათ გამოყენებას საგნების დარქმევაში, რომელთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა წარმოებაში: გზა გაეხსნა მათ გამოყენებას სხვადასხვა მოქმედებების თუ მოვლენების აღსანიშნავად და სხვ.

ასე იქცნენ ისინი გარკვეული მნიშვნელობის მქონე სიტყვებად, ოთხ ლინგვისტურ ელემენტად, რომელთაგან წარმოსდგა მთელი სიტყვიერი ფონდი მსოფლიოს ენებისა.

ზოგიერთს ჰგონია, თითქოს ამ ოთხ ლინგვისტურ ელემენტს იაფეტიდოლოგია თვდაპირველ სიტყვებად სთვლიდეს. ეს დიდი გაუგებობაა.

დაადგინა რა იაფეტიდოლოგიამ ხელის ენის პერიოდი კაცობრიობის განვითარების ადრეულ სტადიაზე (თითქმის მთელი პალეოლითი), ენობრივი ფაქტების ანალიზებზე იმავე დროს უჩვენა, თუ როგორ ისახება ხმიერი მეტყველება. ხმიერი მეტყველების საწყისების გათვალისწინება გვიჩვენებს, რომ თავდაპირველად ხმიერ მეტყველებას საურთიერთო (გაგებინების) ფუნქცია არა პერიოდია, არამედ ამათუში შრომის აქტის თანამგზავრი ამოძახილია, სავსებით დიფუ-

¹ 5. მარრი, Основные достижения яфетич. теории, 1925 წ., 68. კრებულში—По этапам развития яфетич. теории.

ზური კომპლექსის ხასიათისა. და რადგანაც პირველყოფილი აღაშიანის წარმოება მოლიანად მისნური ხასიათისა იყო და ამიტომ ბელადორგანიზატორებს, უმეტეს შემთხვევაში მონუცებს, უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდათ მოპოებული: ისინი იყვნენ არა მხოლოდ უბრალოდ ბელადები, ვთქათ, ნადირობის დროს, არამედ მომწესრიგებელნი ყოველივე საქმიანობისა კოლექტივში. მათ ფუნქციებს შორის უმნიშვნელოვანების იყო ფუნქცია მისნობისა, უხილავ ძალის წინაშე შუამდგომლობის ფუნქცია, რაც დამახასიათებელია ტოტემიზმის პერიოდისა. აი, სწორედ ამ მეთაურ-ორგანიზატორებში დაისადგურა ხმიერმა მეტყველებამ და დიფუზური ხმიერი კომპლექსები გამოყენებული იყვნენ ტოტემთან კავშირის დასაჭერად, ე. ი. ხმიერ დიფუზურ კომპლექსებს ისინი იყენებდნენ საწარმოო ხასიათის რიტუალ-ცერემონიალებში და დანარჩენი მასა კი ხელის ენას საჩვენებლობდა, ვინაიდან იგი სავსებით აკმაყოფილებდა მაშინდელ მარტივ მოთხოვნილებებს.

მეტად დიდი დრო გავიდა, ვიდრე დიფუზური ხმიერი კომპლექსები გასცილდებოდნენ საწარმოო ფუნქციის ჩარჩოებს და ურთიერთობის საშუალებად იქცეოდნენ. ამ ფუნქციური სახეცვლილების პროცესის განმავლობაში იცვალნენ თვით დიფუზური კომპლექსებიც ადვილად მისახვედრი მიზეზების გამო: ისინი ერთი მხრით თვით საწარმოო ფუნქციების შესრულებისას და მეორე მხრით ყოველდღიურ ცხოვრებაში ურთიერთობის საშუალებად ქცევის პროცესში ასემანტიურ (მნიშვნელობის არ მქონე) მდგომარეობიდან გადადიოდნენ პოლისემანტიზმზე (მრავალმნიშვნელიანობაზე), რომ შემდეგ მონოსემანტიზმზე გადასულიყვნენ; ამასთანავე ისინი იცვლილნენ თვის შემადგენლობასაც: ზოგი მათგანი დიფუზოიდად იქცა, ზოგი შერეულ ტიპს წარმოადგენდა—დიფუზოიდსა და მის გვერდით მდგარ ცალკე ბერიას და სულ ბოლოს იქნენ ბერებისგან (ფონემებისგან) შემდგარ სიტყვად. მაშასადამე, მათი სახეცვლილების სქემა ასეთია: 1) დიფუზური კომპლექსი→2) დიფუზოიდი→3) დიფუზოიდი+ცალკე ბერია (ბერები)→4) ბერებისაგან შემდგარი კომპლექსი (აფრიკატები+ჩვეულებრივი ბერია-ფონემა). ოთხი ლინგვისტური ელემენტი, რა სახითაც ის ახლაა მიკვლეული, მესამე და მეოთხე საფეხურს ასახავს თავისი აუარებელი ნაირსახეობებით, რომელნიც ძირითადი ელემენტების (ოთხის) გამოყენების პარალელურად ჩნდებოდნენ. ნაირსახეობათა გაჩენა დამყარებული იყო მათ გამოყენებაზე და ამის ნიადაგზე იმ განსაზღვრულ ფონეტიკურ ცვლილებებზე, რასაც ადგილი ჰქონდა. თვით ერთი კოლექტივის შიგნითაც სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის.

(ჰასაკის მიხედვით: მოხუცები, შუახნისანი, ახალგაზრდობა; საზოგა-ღოებრივ-სამეურნეო ფუნქციის მიხედვით: ბელადები, მუშაკი (მონა-ღირეები, მეთევზეები და სხვ.), ქალები და სხვ.) და კოლექტივებს შორისაც წარმოების პროცესში შეყრა-განშორების ნიადაგზე:

ხმოვნებში: a || o($\leftarrow \rightarrow$ u) || e;

e || a || i;

თანხმოვნებში: s → z || შ → ჟ $\overset{?}{i} \rightarrow \overset{?}{d} \rightarrow \overset{?}{\vartheta} \rightarrow (t \rightarrow d \rightarrow \vartheta)$;

h → γ || ე → ყ $\overset{?}{k} \rightarrow \overset{?}{g} \rightarrow \overset{?}{q} \rightarrow (k \rightarrow g \rightarrow q)$;

v || მ * p → b → φ;

l || n || r

t ~ k;

i ~ კ;

m ~ h || ე და სხვ.¹⁾

4. სვიმი გეორგელებია თავდაპირებელად მისწოდი ხასიათისა იყო
და პირველი გოლოვანი კოლეგიალი შრომა—მისწოდ პროცესში გა-
მოიქანებოდა

ხმიერ მეტყველებას თავდაპირებელად საურთიერთო ფუნქცია არა
ჯონია, ვინაიდან პირველყოფილი საზოგადოების პრიმიტულ მოთ-
ხოვნილებებს ხელის ენაც აკმაყოფილებდა. ხმიერი მეტყველება, უკეთ—
მისი მცირერიცხოვანი ელემენტები, მისნური ხასიათის იყო და
იმავე დროს საწარმოო, ვინაიდან წარმოება მისნური იყო მთლიანად.
პალეოლითის ადამიანმა შრომის პროცესებზე ცოტა რამ იცოდა,
შრომის პროცესი მისნური პროცესია, რომელსაც თან სდევს სათანადო
რიტუალი და საიდუმლო შელოცვები და სხვ.; ე. ი., შრომის პროცე-
სი—ესაა შრომითი აქტები პლატს კიდევ როტული აქტები და ეს უკანა-
სკნელნი—მისნობაა, რომელშიც შედიოდა სინკრეტულად ცეკვა, სიმ-
ღერა, მუსიკა და დიფუზური ამოძახილები. უკანასკნელნი (დიფუ-
ზური ამოძახილები) ხშირი ხმარების გამო იქცნენ ხმიერი მეტყველე-
ბის საშეინდებად; მაშასადამე, მათ სათავე იმ შრომა-მისნურ ქმედობა-
ში აქვთ, რომელიც საჭირო იყო წარმოების (ნადირობა და სხვ.)
დადებით შედეგიანობისთვის და ამათუმიმ კოლექტიურ შრომით პრო-
ცესს სდევდა თან²⁾.

¹⁾ საკიონის სპეციალურობისა და სირთულის გამო დაწვრილებით აქ აღარ ვჩერდებით.

²⁾ ი. ჩ. ჩეჩია. თეория, 98—101, 106—117; აგრეთვე, ლ. ლევი-ბრიულ, Пер-
вобытное мышление, სათანადო თავები.

ხმიერი მეტყველების საურთიეროდ გამოყენების პირველი ნა-
 ბიჯი ტოტემის საშუალებით გადაიდგა, რომელიც კოლექტივისა და
 მისი წარმოების თავი და ბოლო იყო; მაშინდელი წარმოდგენით იგი
 იყო კოლექტივის ბელადი, მისი წევრი, მისნური ძალა—ყოვლის შემ-
 ძლე, მის სახელს ატარებდა მთელი კოლექტივი, მაგრამ ეს უფრო
 გვიან, უფრო ადრე კი: „როცა მოქმედი პირი, სუბიექტი (შემდეგ
 სქოლასტიკური გრამატიკით—ქვემდებარე, დამოუკიდებლად — სახელი
 არსებითი, მეტყველების ნაწილი), მოქმედებიდან გამოიყო ცნობიე-
 რებაში,—მოქმედების გამოხატვა ხელის სიმბოლოთი გრძელდებოდა,
 მოქმედი პირი კი უკვე ზეღანაშენური იყო, ესაა ტოტემი: და სწო-
 რედ ის საჭიროებდა ხმიერი ნიშნით სიგნალიზაციას არა მხოლოდ
 იმიტომ, რომ ხელის ნიშნით იგი აშკარად ვერ გამოიხატებოდა, არა-
 მედ იმიტომაც, რომ მაშინ ამ სუბიექტით, რომელიც შრომის პრო-
 ცესის მთელ აზრიანობას საზღვრავდა და არა თანაზიართა შერეში
 არ უნდა გამომუსავნებულიყო,—მოლაპარაკენი სარგებლობდენ, რო-
 გორც მათი საკუთარი კოლექტივის საწარმოო იარილით, ექსპლოა-
 ტაციის საშუალებით”¹. კოლექტივის მეთაურ-ბელადები, გამოცდილი
 მონადირენი ხელმძღვანელობდნენ კიდეც კოლექტივს წარმოებაში და
 ტოტემთან, ბუნების უხილავ ძალებთან შეამავლის როლსაც ასრუ-
 ლებდნენ, ე. ი. მისნებად იქცნენ; მათ ხელში დაიწყო ხმიერმა მეტ-
 ყველებამ განვითარება, მაგრამ ეს პროცესი უმტკივნეულოდ, მშვიდო-
 ბიანად როდი მიმდინარეობდა: „ბრძოლა მიმდინარეობდა, — ამბობს
 ავად. მარრი, — ხმიერი ტოტემისა და ხმიერი მეტყველების მჯონე
 კოლექტივსა და არახმიერი მეტყველების, ხელის ტოტემისა და ხე-
 ლის ენის მჯონე კოლექტივს შორის, ვიდრე უფრო მძლავრმა, ხმიე-
 რი მეტყველების მჯონე კოლექტივმა არ დაამარცხა ყრუ-მუნჯები, მხოლოდ ხელის ენაზე მოლაპარაკენი, და ვიდრე თვით ხმიერი ენის
 მჯონე ვაბატონებულ ფენაში არ მოხდა დანაწერება ახალი წარმო-
 ების გაჩენის გამო და არ გამრავლდნენ ხმიერი ტოტემები, ე. ი. ხმი-
 ერი მეტყველების მცოდნე კოლექტივშიც სხვადასხვა მებრძოლი სო-
 ციალური დაჯგუფები ვაჩნდა, რომლებშიც თავი იჩინა წარმოების
 საჭიროების მიხედვით ჰასაჟთა და სქესთა დიფერენციალურად: გართუ-
 ლებულმა წარმოებამ და მოთხოვნილებამ ბაზისში, — უფრო გამწვავე-
 ბული ბრძოლის პროცესში, — შექმნა მთელი რიგი საწარმოო ურთი-
 ერთობებისა გართულებული ტექნიკის სხვაობის მიხედვით, თვისობ-
 რივად გარდაქმნა სოციალური დაჯგუფებები, ზეღანაშენში კი უფრო
 ფართო მსოფლმხედველობაზე და რთულ წყობილებაზე გადაიყვანა,

¹ 6. მარრი, ენა და აზროვნება, 42.

აზროვნების უფრო მეტი გარკვეული ტექნიკით¹. ამგვარად, პირველადი ხსიათი ხმიერი მეტყველებისა (თავისი უმცირესი სიტკიერი მარაგით) მისნურია, იგი გამოყენებულია შრომა-მისნურ პროცესში მხოლოდ დიუუზური ამონახილების სახით, შემთევ გამოყენებულია მისანთა (კოლექტივის წინამძღვრობა, ნადირობის ბელადთა) წრეში, განვითარების გზაზე აქ დამდგარი, „საექსპლოატაციო“ საშუალებად ქცეული და მხოლოდ გვიან სტადიაზე, როცა გართულებულ საჭარ-მოო ურთიერთობათა მოთხოვნილებები ხელის ენამ ველარ დაკმა-ყოფილა, თანდათან გავრცელდა ხმიერი მეტყველება, საურთიერთო საშუალებად იქცა და ამავე საჭარმოო ურთიერთობებში გამწვავებულ ჭიდილში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა.

5. შეულვლება უძლიერესი ფართორია ხეივი ენის განვითარებისა-

ხმიერი ენის განვითარებაში უძლიერეს ფაქტორს წარმოადგენს შეულვლება, რამაც თავდაპირველ პერიოდშივე იჩინა. თავი, როცა ხმიერი მეტყველება კომუნიკაციის (ურთიერთობის) საშუალებად იქცა კოლექტივის შიგნითაც და კოლექტივებს შორისაც.

შეულვლებას თავისი განვითარების ეტაპები ჰქონდა ყველგან, დაწყებული ორი დამოუკიდებელი სიტყვის წყვილად ხმარებიდან (ერთი სიტყვა თავისი, ე. ი. რაც უნდა ეთქვა აღამიანს და მეორე ქი—მეზობელ კოლექტივსა, იმავე მნიშვნელობის სიტყვა, რომ გასა-გები ყოფილიყო მოსაუბრისთვის) და გათვავებული არა მხოლოდ მა-თი სრული, თითქოს ფიზიკური შერწყმით, არამედ ქიმიური შეერ-თობით, ე. ი. ორი ელემენტის (ორი სიტყვის) ოთხი თანხმოვანის ისეთი გადამუშავებით, როცა მათგან მხოლოდ სამიღა რჩებოდა, როგორც მაგ., სემიტურ ენებში, ხშირად ორი².

თითოეული ენა წარმოადგენს არა მთლიან მასივს, არამედ სხვა-დასხვა პერიოდების დანალექებისგან შემდგარ კონგლომერატს. ენის განვითარების სიგრძეზე იცვლებოდა ყველაფერი: ფონეტიკაც, ლექ-სიკაც, მორფოლოგიაც, სინტაქსიც, რადგანაც იცვლებოდა საზოგა-დოებრივ-სამურნეო ყოფა, იცვლებოდნენ საჭარმოო ურთიერთობა-ნი და მათთან შეპირობებული აზროვნებაც: „ენასთან უნდა მივიდეთ არა როგორც ერთვარ მასივთან, არამედ როგორც სხვადასხვა და-ნალექების, გადანაშთების შემადგენლობასთან, რაც მიღებულია ან სხვადასხვა სოციალური დაჯგუფებების, შემთევ ეთნიური წარმონაქ-

¹ ენა და აზროვნება, 43.

² 6. მარრი, იაფეთიч. теория—120—121.

შების, შეულვლების შედეგად — მათი თითოეული განსაკუთრებული უკვე ჩამოყალიბებული ხმიერი მეტყველებით, ან სტადიური ტრანსფორმაციების შედეგად, რაც ნაწარმოები იყო თვით ხალხ-ენის შინაგანი ცხოვრების მიერ, დამოკიდებით, რასაკვირველია, ენის შემოქმედების ყველა ფაქტორებიდან... შედარება ენების, თუნდაც კილოების, თქმებისაც კი, როგორც მთლიანი მასივების, ეს — უარის თქმაა არა მხოლოდ მეტყველების წარმოშობის კვლევაზე (თუმც ეს ძველი ლინგვისტური სკოლისათვის არაფერს არ წარმოადგენს: წარმოშობის საკითხს იგი სამეცნიერო ინტერესების წრის გარედ, მეტაფიზიკურად წარმოადგენს), — ესაა უარის თქმა მისი განვითარების ისტორიის კვლევაზე, კერძოდ, მთლად აღებული თითოეული ცალკე ენის განვითარების ისტორიის კვლევაზე, კერძოდ, მთლად აღებული თითოეული ცალკე ენის განვითარების ისტორიის კვლევაზე¹.

აუარებელი ენების ფაქტების ანალიზით აკად. მარტო ცხადჰყო, რომ გლოტოგონიის პროცესში უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორია შეულვლება, ურომლისოდაც განვითარება ენისა წარმოუღენელია; თითოეული ენა შეულვლების შედეგია, შემდგარია სხვა-დასხვა ფენებისგან და თითოეულ ფენას თავისი ისტორია აქვს. ამიტომაც „ნაციონალური ენა წოდების გაუშე, კლასის გარეშე ჯერ-ჯერობით ფიქცია“ და თითოეულ „ჩამორჩენალ“ ენას შეუძლია უფლება გააცხადოს თავის წვლილზე ამათუმ „კულტუროსან“ ენაში, მაგ., ბერბერულ ენას, წოვა-თუშურს, უდურს, ესკიმოსურს და სხვ.

შეულვლების კანონების აღმოჩენით უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი გამომხეურდა, სახელდობრ, რომ ენათა შორის მჭიდრო კავშირია გაბმული და ე. წ. „წმინდა“, „კეთილშობილი“ ენა არ არსებობს.

6. თავდაპირველი ენები გარტივი არიან და გეურეოგისა და საერთოდ გაზისის გართულებასთან ერთად გადადიან როზლ გდგო-გარეოგაში

ენები თავისი განვითარების პროცესში მარტივ მდგომარეობიდან გადადიან რთულ მდგომარეობაში, ინახავენ გადანაშთების სახით ძველსაც, მაგრამ ძლიერ სხვავდებიან კიდეც იმ თავისი ძველი მდგომარეობიდან, ამგვარ დიალექტიკურ ტრანსფორმაციაშია ენა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. ამიტომ, შესაძლებელი კი არა, სავალდებულოა ლინგვისტური ანალიზების წარმოებისას შედარება მო-

¹ Б. მარო, Орудивный и исходный падежи в кабардинском и абхазском, ДАН, 1928, 82. 219.

ვახდინოთ უფრო განვითარებული ენებისა განვითარებაში ჩამოჩენილ ენებთან, ვინაიდან ძლიერ ხშირად პირველთ დაუკარგავთ ის, რაც მეორეებს შემოუხახავთ და პირუჟუ. უფრო განვითარებული ენები სხვაგლებიან ნაკლებად განვითარებული ენებისგან, ამასთან—განვითარების საერთო კანონებიცა აქვთ, ვინაიდან ერთიანი გლობობის პრინციპების გარეშე ენა არ არსებობს. ამიტომაც იაფეტიდოლოგიურ კვლევებში ყოველ ნაბიჯზე შედარებას, ვთქვათ, წოვა—თუშურისას—ქართულთან, ბასკურისას—ფრანგულთან, ბერბერულისას—ლათინურ ბერძნულთან, აფხაზურისას—რუსულთან და სხვ., რითაც ინდოევროპეისტები გაიცებაში მოდიან.

აღნიშნული დებულება მტკიცებაა ენობრივ ფაქტებზე იმისი, რაც კ. მარქს მა გამოთქვა თავის შრომაში: „პოლიტიკური ეკონომის კრიტიკისათვის“, რომ უმეტესად განვითარებულ და უმკირესად განვითარებულ ენებს შორის საერთო კანონები არსებობს, მაგრამ სწორედ ის, რაც ამ საერთოსგან განსხვავებას წარმოადგენს, მათ განვითარებას შეადგენს.

7. ენა და აზროვნება ისტორიული კატეგორიებია და გაცემოცვლი ნაფილებია ერთიანისა

უკანასკნელი წლების განმავლობაში ენისა და აზროვნების პრობლემა იაფეტიდოლოგიამ თავისი კვლევის ცენტრალურ თემად აქცია და მარქსისტულად გადაწყვიტა ენობრივი ანალიზების შემწეობით და მარქს-ენგელს-ლენინის გამონათემების გათვალისწინებით, რომ „ენა ისევე ძველია, როგორც ცნობიერება; ენა არის... რეალური ცნობიერება...“ და „ენა უდრის აზრს“.

განიხილავდა რა იაფეტიდოლოგია ენას, როგორც ისტორიულ ჭატეგორიას, ცვალებად კატეგორიას, იგი ჯერ კიდევ 1924 წელს, მთელი რიგი წლების სისტემატიკური მუშაობის შედეგად ენობრივ ფაქტებზე, იმ დასკვნამდის მივიდა, რომ ენაში ასახულია საზოგადოებრიობა მთელი თავისი სისახსით. ამიტომ, სავალდებულოდ ჩათვალია რა აქად. მარტინ ენის კვლევა დღიდან მისი ჩასახვა-აღმოცენებისა დღემდის, ენობრივი ფაქტების ჩვენებების საფუძველზე, და-ასკვნა, რომ „წინაისტორიული ენა—ესაა მხოლოდ განსაკუთრებული საზოგადოებრივი აზროვნება, ესაა წინაისტორიული რწმენები და ეპოსი, წინაისტორიული მხატვრული შემოქმედება, სამეურნეო ცხოვრებისა და პროდუქციის წინაისტორიული ფორმები“¹.

¹ Об яфетической теории—1924 წ., კრებულში—По этапам развития яфетич. теории, გვ. 193.

ამგვარი დასკვნის უფლებას იძლეოდა თვით მასალა, ენა, რო-
მელიც თავისი განვითარების მთელ მანძილზე ცვალებადობს იმის-
და მიხედვით, თუ მისი მატარებელი ადამიანის აზროვნება როგორ
იცვლება ბაზისის ცვლასთან ერთად: „შემოქმედების პერიოდის თი-
თოეული ეპოქა მისთვის დამახასიათებელი ენობრივი ტიპით მოას-
წავებს ახალ აზროვნებას. ზოგჯერ ენის მექანიზმი მეტყველების
რომელიმე ნაწილში ისტორიულ დროებშიაც იგივე რჩება გარდავ-
ლილი ტიპის სტრუქტურისგან, მაგრამ მასზე მოლაპარაკე ხალხმა ცხოვ-
რების განვითარების და თვით სოციალური წყობილების ბუნების
და მასთანვე მეტყველების გადატრიალების საერთო პროცესში მოას-
წრო გადასვლა ახალ ენობრივ აზროვნებაზე, ახლებურად აზროვ-
ნებს, და მაშინ ჩენ ვხედავთ, რომ ხალხი ამტკრევს და ამახინჯებს
ნამეტკვიდრევ ფორმებს, დამახინჯებულად ეყურება ისინი, ვინაიდან
მათგან ახალს აგებს“¹. ასე, მაგალითად, ქართულში პირდაპირი
ბრუნვა, სახელობით ბრუნვად ჩათვლილი, ლოგიურ ობიექტადაა
გამოყენებული გარდამავალ ზმნასთან და იგი თითქოს პასიურია,
ირიბი ბრუნვა კი ლოგიურ სუბიექტადაა გამოყენებული, იგი აქტი-
ურია. ამიტომ ფრაზა „მონადირეს მოუკლავს ფრინველი“, ან „მო-
ნადირის მიერ მოკლულია ფრინველი“, გაგებულია როგორც „მონა-
დირემ მო ჲლა ფრინველი“ და ეხლა ქართველი აბსოლუტურად ვე-
ღორ გრძნობს ფრაზის „მონადირეს მოუკლავს ფრინველი“ ფორმა-
ლურად არსებობას, იგი ფორმალურადაც ისევე აღიქვამს მას, რო-
გორც იდეურად: „მონადირემ მოკლა ფრინველი“ და სახელობით
ბრუნვაში („ფრინველი“), რაკი იგი ობიექტია (დამატება), ხედავს
სახელობითთან მსგავს ბრალდებით ბრუნვას, ე. ი. ქართველები გა-
დავიდნენ ისტორიული ეპოქების აზროვნებაზე, უფრო ახალ აზროვ-
ნებაზე, ვიდრე ის ეპოქა, რომელმაც შექმნა ხსენებული სტრუქტურა
ფრაზისა. სუბიექტით ირიბ ბრუნვაში და ობიექტით პირდაპირ
ბრუნვაში².

ენა თანამგზავრია აზროვნებისა, არეკლავს მას მთლიანად და
იცვლება იმისდა მიხედვით, თუ როგორ იცვლება აზროვნება სხვა-
დასხვა სტადიებზე, სხვადასხვა საზოგადოებრივ-სამეურნეო წყობი-
ლების მიხედვით. მეტყველების იდეოლოგია ორგანულადაა დაკავში-
რებული არა სისხლთან, არა ფიზიოლოგიასთან, არამედ მეტრნეო-
ბასთან, ტექნიკასთან და მათგან და მათთან ერთად აღმოცენებულ
მსოფლმხედველობასთან; ამიტომაც წყალგამყოფ მომენტად აღამიან-

¹ ნ. ბარჩი, О происхождении языка, 1926, ხსენებული კრბული გვ. 304.

² იქმ, 304.

სა და ცხოველს შორის იაფეტიდოლოგია თვლის თვისისმარივად განსხვავებულ აზროვნებას, გაცნობიერების უნარს; აზროვნება და ენა განუყოფელი ნაწილებია ერთიანისა, ერთად აღმოცენდნენ და როცა არც ერთი იყო და არც მეორე,—არ იყო აღამიანიც; იაფეტიდოლოგიისთვის ენა წარმოუდგნებია არა მხოლოდ აზროვნების გარეშე, არამედ მსოფლმხედველობის გარეშეც; ენა ცნობიერების გამოვლენაა და იგი იცვლება და რთულდება ცნობიერების ცვლასთან და გართულდებასთან ერთად. „საქმეა მუტაციური რიგის ძირები ცვლების წყარო, ტიპების და სისტემების შენაცვლების წყარო ენებში; ეს წყარო—გარეგანი მასური გადასახლებანი კი არაა, არამედ ორმად მავალი რევოლუციონური ძერები, რომლებიც დიალექტიკური გამორჩევის (შერჩევის) პროცესში გამომდინარეობდნენ მატერიალური ცხოვრების თვისისმარივად ახალი წყაროებიდან, თვისისმარივად ახალი ტექნიკიდან და თვისისმარივად ახალი სოციალური წყობილებიდან. შედეგად მიიღებოდა ახალი აზროვნება და მასთან ერთად ახალი იდეოლოგია მეტყველების აგებაში და, ბუნებრივია, მისი ახალი ტექნიკა აქედან—ენათა სხვადასხვა სისტემები“¹. ამიტომ უკველესი აზროვნების გაგებაში თავისუფალი უნდა ვიყოთ ჩვენთვის ჩვეული ახლანდელი აზროვნებისგან, რომ გავიგოთის, თუ რატომ უწოდებდნენ ერთ სტადიაზე „მუხას“, — მეორეზე „რეს“, ერთ სტადიაზე „ძალს“ — მეორეზე „ირებს“, „ცენს“, ერთ სტადიაზე ერთი სიტყვით აღინიშნებოდა „ცა“ — „მიწა“ — „ქვესკნელი“, მეორეზე — ღიფურენებიაცია შეტანილი მათ შორის და სხვ. და, თუ რატომ ეყურებოდათ „ცა“, როგორც „სივრცე“ და „დრო“ ერთდროულად.

საბოლოოდ დადგენილი დებულებაა იაფეტიდოლოგიისა, რომ „იცვლებიან არა მხოლოდ აზროვნების მოვლენები, როგორიცაა ენის მოვლენები, მათი ფუნქცია და შინაარსი, აგრეთვე მათი მნიშვნელობა, არამედ მისი კანონზომიერებანიც და ტექნიკაც. არაა არც ერთი წარმოდგენა, არც ერთი ცნება, ისე როგორც არაა არც ერთი სიტყვა, რომელიც მეტყველების აღმოცენების, შედგნისა და შემდეგი განეითარების ეტაპზე ცნობიერებაში შესულიყოს ისე, რომ საწარმოო მნიშვნელობის ფუნქცია არ გაევლოს“². ამიტომ ადვილი მისახვდრია, რომ თავდაპირველ მდგომარეობაში აზროვნება კოლექტიური გაცნობიერებაა კოლექტიური წარმოებისა და ამის კარგ ნიმუშს „ძალის“ სახელწოდება იძლევა: „იგი იყო თავდაპირველად არა უბ-

¹ 6. მარიო, Постановка учения об языке в мировом масштабе и абхазский язык, 1928, გვ. 14.

² 6. მარიო. ენა და აზროვნება, გვ. 34.

რალოდ სიტყვა—ცნება, ან წარმოდგენა, არამედ სათანადო საჭარ-მოო კოლექტივის სახელი—ტოტემი, რომელიც შრომით პროცესში გამოიყო გაპობის გზით. ამასთან დაკავშირებით „ძაღლი“ ზოგადი ცნება თავდაპირველად არ იყო; ზოგადი ცნება მიღებული იქნა მა-შინ, როცა სახელი—ტოტემი, სახე, მთელი ფორმაციის თითოეული დაჯგუფების საერთო კუთვნილებად ხდებოდა და ტოტემი, იქცა რა უბრალო სახელად, სახელწოდებად... იქცეოდა უკვე არა განყინებულ წარმოდგენა—სიტყვად, არამედ ცნება—სიტყვად¹. იმავე კოლექტიურ წარმოებასთანაა ორგანულად დაკავშირებული საბრძოლო იარაღების სახელის დარჩევა სათანადო კოლექტიური მსოფლმხედველობის მეშვეობით: „საბრძოლო იარაღებიც კი — „შუბი“, „შვილდი“, „ისა-რი“, „მახვილი“, რა წარმოებაშიც არ უნდა იყვნენ ისინი გამოყენებული, ნადირობაში, ოში, შვილდობიანი შრომითი პროცესის და-ცვაში, თანახმად იმ დროს გაბატონებული მსოფლმხედველობისა თავის სახელწოდებას იმავე სტადიაზე იღებდნენ სახელთან ერთად მისნურად გადაცემულ ძლევის ძალას. ასეთია წარმოშობა „ისრის“ აღმნიშვნელი ქართული სიტყვებისა: ი-ს ა რ, ყო-დ ა ლ და ბო-ძ ა ლ. პრაქტიკის ხატება, რომ თითოეული ამ სახელწოდებათაგანი გამოყენებულია ისრის განსაკუთრებული სახისათვის ან განსაკუთრებული შემთხვევისათვის. ასე, მაგალითად, ბო-ძ ა ლ ორპირიანი იარაღია, თვით სიტყვაში კი არავითარი ამის მსგავსი არაა გამოთქმული, ვი-ნაიდან ყველა ისინი, აქვთ რა საკუთარი იდეოლოგიური დიფერენ-ციალები (ი- || ყო- || ბო-)—მრავალრიცხოვანი თავდაპირველი ფორმა-ციების სხვაობისაგან დამოკიდებით, დანარჩენ ძირითად ნაწილში ერთდაიმავე A ელემენტის ნაირსახეობას წარმოადგენს: სარ (resp. სალ) → ზალ → ძალ → დალ².

ისე, როგორც ვ. ლენინი ითვალისწინებს აზროვნება-გაცნობი-ერების საფეხურებს, რომ „თავუაპირველად კრთიან შთაბეჭდილებანი, შემდეგ გამოიყოფა რაღაც, — შემდეგ ვითარდებიან ცნებები თვისების (ნივთის განსაზღვრებანი ანუ მოვლენები) და ოდენობის; შემდეგი შესწავლა და სჯა აზრს მიმართავენ მოვლენის იგივე. ობა-სხვაობა-ფუძე-რაობა-versus-ის შეცნებისაკენ, — მიზეზობრიობის etc. შემეცნების ყველა ეს მომენტები (ნაბიჯები, საფეხურები, პრო-ცესები) მიიმართებიან სუბიექტიდან ობიექტისაკენ, მოწმდება რა

¹ Б. Марков, В тупике ли история материальной культуры, 1933,
83. 51—52

² იქვე, გვ. 128—129

შემარიტებასთან (-აბსოლუტურ იდეასთან)“¹, —ისევე იაფეტიდოლო-
გია ფეხდაფეხ მისდევს აზროვნების სტადიების ცვლას და თითოეული
მათგანის გამომჟღავნებას მეტყველებაში: ასემანტიზმი სიტყვებისა,
შემდეგ პოლისემანტიზმი და ბოლოს მონისემანტიზმი—ესაა საგნის
და მისი ფუნქციის თანდათანობითი გაცნობიერების საფეხურები;
„პირველყოფილი ადამიანის გაცნობიერება გამომდინარეობდა არა
ნიშანდობლივი, ისტორიულად შემდგომ შეძენილი საგნის მატერია-
ლური არსის მნიშვნელობიდან, არამედ იგი აღმოცენდებოდა და წინ
მიღიოდა ბუნებრივი ინსტიქტით საგნის ხილულობის აღჭმიდან, საგან-
თა დამოკიდებულების ხილულობისა, წარმოსახვის ძალით და სახეებში
უფრო აღრე, ვიდრე განყენებულ დამოუკიდებლად გამოკრისტალე-
ბულ ცნებებში“².

8. სიტყვაშემოქმედება ვითარდება სტადიების მიხედვით და საგან- თაგის სახელს მოიპოვებას საზოგადოებრივ-საგენტოები პრაქტიკა- ში აგათუიშ ფუნქციის შესასულების მიხედვით.

სიტყვაშემოქმედება ვითარდება სტადიების მიხედვით, სიტყვე-
ბის თანდათანი მიღება ხელოვნური გამოგონების გზით კი არ ხდება,
არამედ ერთი საგნის სიხელწოდების მეორე საგანზე გადასვლით,
რაც დამოკიდებულია იარაღებისა და წარმოების წესების შენაცვ-
ლებაზე, ე. ი. საგანი თავის სახელს მოიპოვებს საზოგადოებრივ-სა-
მეურნეო პრაქტიკაში და იმის მიხედვით, თუ რა ფუნქციის შესრუ-
ლება დაეკისრა მას, სახელს მიიღებს თავის წინამავალ საგნიდან.
ასე გამომუშავდა იაფეტიდოლოგიაში უმნიშვნელოვანესი დებულება
ფუნქციური სემანტიკისა, რაც საშუალებას იძლევა ურთულესი ინა-
ლიზები ვაწარმოოთ ნათელი და მარტივი დასკვნების მისაღებად ენა-
ში. ფუნქციური სემანტიკის პალეონტოლოგიის გარეშე ვერ გავი-
გებთ, რომ ’შამა’ და ’დედა’ მონათესაობაში არიან, პირველი მეო-
რიდან წარმოიშვა; „ბევრნი ფიქრობენ, რომ მამა და დედა ორი სხვა-
დასხვა სიტყვაა; სრულებითაც არა, მასამ თავისი სახელწოდება დე-
დისაგან დაიმკვიდრა ცველა თავისი უფლებებით: პირველად არც ჩა-
მა იყო და არც დედა, შემდეგ კი დადგა პერიოდი, როცა იყო დე-
და, როცა დედა ცნობილი იყო, მაგრამ მამა ჯერ კიდევ უცნობი
იყო და როცა შემდეგ მამა გამოჩნდა, თითქოს ეს ამბავი არც ცუდი

¹ Ленинский сборник, Ч. XII, № 291, „სტატიაში „ჰეგელის დალექტიკის (ლოგიკის) გეგმა“.

² 6. მარტო, Об яфетической теории, 1924; კრებულში—ПЭРЯТ, № 193.

არმ იყო და არც კარგი: მეტი წესრიგი, ნაკლები თავისუფლება. შავრამ მამა დედას ფიზიკური უფლებებით აღიჭურვა? არა, ცხადია არა ფიზიკური, არამედ სოციალურ-საზოგადოებრივი უფლებებით. შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ეს იყო არა მხოლოდ მამა, არამედ ეს იყო ძმაც. არ იყო განსხვავება მამაკაცსა და ქალს შორის; დგას სათავეში და სხვა არაფერი“¹.

ამრიგად, „მამამ“ სახელშოდება მიიღო დედისაგან იმ საზოგადოებრივი ფუნქციის მიხედვით, რომელიც მან მოიპოვა ე. წ. მატ-რიარქატიდან პატრიარქატზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ასევე ვერ გავიგებთ ფუნქციური სემანტიკის გარეშე, და ბევრს ახლაც არ ეყურება, რომ ლათ. *panis* 'პური' და ბერძნ. *balan-os* 'რკო' ერთდაიმავე სიტყვის ორი ნაირსახეობაა, რომ 'პურმა' შეკვალა რა კვებაში მიწათმოქმედებაზე გადასვლასთან დაკავშირებით 'რკო', სახელიც მისგან დაიმკვიდრა². (ზღრ. აგრეთვე ჩინ. ჰუ 'ხე', ფინ. ჰუ 'ხე', ქართ. მუ-ხა პირველი მუ—ელემენტით, რუს. მ უ კ ა ← მ უ-ყ ა 'უქვილი' უზური მუ—'ქერი' და ბუღუს. მ უ ხ 'ქერი'). ასევე ხდებოდა, მაგ., ტრანსპორტის ცხოველთა ხაზითაც: ძალლი შენაცვლა ტრანსპორტში ირემმა, ირემი ცხენმა და ა. შ. და სახელშოდებაც ამის მიხედვით გადადის ერთიდან მეორეზე³.

ფუნქციური სემანტიკის კანონები შესაძლებლობას იძლევა აგხსნათ მნიშვნელობათა ცვლა ასეთი მწერივებისაც:

ხელი→ჯოხი→თოხი,
ხელი→ქვა→ცული,
მზე→მარილი და სხვ..

ე. ი. სიტყვის მნიშვნელობას, გავიგებთ იმ მწერივში რომელ შიც იყი მოქცეულია მის მიერ აღნიშნული საგნის ფუნქციის მიხედვით, რაც საქსებით თანხვდენილია ფ. ენგელსის განსაზღვრასთან; „ორგანულ ქიმიაში რომელიმე სხეულის მნიშვნელობა და, მაშასადამე, მისი სახელშოდებაც; უბრალოდ არაა დამოკიდებული მის შემაღენლობაზე, არამედ უფრო მის მდებარეობაზე იმ მწერივში, რომელსაც იგი ეკუთვნის. ამიტომ, უკეთუ ვნახავთ, რომ რომელიმე სხეული რომელიმე ამგვარ მწერივს ეკუთ-

¹ ნ. ბართი, ისტორიული პროცესის საკითხისათვის იაფეტური თეორიის გაშუქებით, სახელგამი 1934 წ. გვ. 73.

² ნ. მართი, ა) Яфетич. теория, გვ. 27—28, 62—63. ბ) Новый поворот в работе по яфетической теории, ИАН, 1931, გვ. 670 და სხვ.

³ ნ. მართი, Средства передвижения, орудия самозащиты и производства в до-истории, 1926.

ვნის, მაშინ მისი ძველი სახელწოდება დაბრკოლებადა ხდება გაგები-სათვის, რომელიც ამ მწერი იყზე მიუთითებს¹.

ამავე ფუნქციური სემანტიკის საფუძველზე დამყარებული სიტუაციურქმედების მეორე რიგი: სახელის დარქმევა მთელის მიხედვით, ე. ი. საგანი მიიღებს თავის სახელს მეორე საგანთან მჭიდრო კავშირში ყოფნის გამო, ან იმიტომ, რომ იგი მისი ნაშილია, ან იმიტომ, რომ საერთო თვისება აქვთ; აღნიშნულის მიხედვით კი იქმნება მთელი რიგი დერივატებისა: ისე, როგორც 'ფრინველი' ცის სახელი პქვიან, ისევე 'თერზი' ზღვის სახელს ატარებს, საერთო სახელი აქვს 'ზღვასთან' resp. 'ტბასთან', 'მდინარესთან', საერთოდ 'წყალთან'². ამისდამიხედვით ვლებულობთ მთელ რიგ სემანტიკური დერივატების მწერივს:

ცა → ფრინველი → ფრთა,

ცა → მზე → თვალი,

ცა → ლრემი → ბორბალი (|| თვალი),

ცა → ლრუბელი (ლურბელი),

ცა → წრე → თალი → კარავი,

სპილო → ხორთუმი → ეშვი,

ირემი → რქა,

ცხენი → ფაფარი და სხვ. და სხვ. და სხვ.³.

9. ენა და აზროვნება ვითარდებიან ზინაალებითა ერთიანობის საფუძველზე

სემანტიკის განვითარებაში თავს იჩენს მისთვის სპეციფიკური კანონზომიერება; სიტყვათა ცვალებადობებსა და კაცობრიობის აზროვნების ცვალებადობებს შორის რეალური კავშირი არსებობს სხვადასხვა სტადიებზე, რომელთაც საფუძვლად უდევს განვითარების დიალექტიკური პროცესი, სახელდობრ, სიტყვები და აზროვნება ვითარდებიან წინააღმდეგობათა ერთიანობის საფუძველზე: ერთი და იმავე სიტყვით გადმოიცემა ორი მოწინააღმდეგე მნიშვნელობა (მაგ., წყალი—ცეცხლი და სხვ.); ორივეს წყარო აქვს პირვანდელ დიფუზუ-

¹ ფ. ენგელსი, Диалектика природы 1930, გვ. 141.

² ბ. მარტი, ა) Разложимость мнимых примитивов, простых слов, и терминов для понятия 'рыба'; ИАН, 1926; ბ) Средства передвижения... 1926 და სხვ.

³ ბ. მარტი, ა) Орудийный и исходный падежи в кабардинском и абхазском, ДАН, 1928; ბ) Средства передвижения...; გ) Новый поворот в работе по яфетической теории, ИАН, 1931; დ) В тупике ли история материальной культуры, 1933 და სხვა მთელი რიგი შრომებისა.

რი, შერწყმული აზრის მქონე სიტყვაში და მიღებულია მისი გაპობით ორ მოწინააღმდეგე მნიშვნელობად, რაც შეპირობებულია მატერიალური წარმოების პირობებში აზროვნებაში მომხდარი ძვრებით. მაგალითად, სივრცე და დრო თავდაპირველ სტადიებზე არ გაირჩეოდნენ არც აზროვნებაში და არც მეტყველებაში, დიფუზური იყვნენ; მაგრამ წარმოების განვითარებამ (მსხვილ ნადირობაზე გადასვლა, შორეული გასელები სათევზაოდ, მომთაბარეობის დაწყება და სხვ.) გამოიწვია მათი გაპობა და გამოცალკევება ერთმანეთიდან, ჯერ აზროვნებაში და მერე მეტყველებაში — მოწინააღმდეგე წარმოდგენებად: „სივრცე—ადგილი— მდგომარეობა“ „დრო—მოძრაობა—მოქმედება“, რომელნიც შემდეგ მეტყველების ნაწილებად — ზმნად და სახელად — ჩამოყალიბდნენ; იქამდის კი გამოვლინდებოდა თავდაპირველი მოჩვენება — სახე → ტოტემში და, ამგვარად, „საკითხი იმის შესახებ, თუ რა იყო უფრო აღრე — სახელი (მდგომარეობა), თუ ზმნა (მოქმედება), თავის საბოლოო გადაწყვეტას მხოლოდ მარქსისტულ წინააღმდეგობათა ერთიანობაში პოლილის, ენაში — ფორმულით:

1. ზმნა, მოქმედება → ~ ტოტემი → სახელი ~ → სახელი, მდგომარეობა.
2. დრო, მოძრაობა ← [წარმოება + საზოგადოებრიობა] ↗ ადგილი, დავანება¹.

ენის მთელი მარაგის განვითარება ამ მარქსისტულ ძირითად კანონს ემორჩილება და თუ ზოგ ენაში თითქმის დასრულებულად გვიპლინება ეს პროცესი (გაპობა და დამოუკიდებლობის მოპოება თითოეული განაპობი ნაწილის მიერ), ზოგში არა დამთავრებული და ორი ცნება (სამიც) ერთ სიტყვაშია ჯერ კიდევ განუყოფელად თავმოყრილი; ასე, მაგალითად, ა) ქართ. 'კრება' — სახელარსებითიცაა და ზმნაც, აგრეთვე 'წერა', 'ყვირილი' და სხვ., ბ) 'კეთილი' — ზედსართავიცაა, სახელარსებითიც და ზმნაც კი (რამდენადაც ქართულში თითქმის თითოეული სიტყვის დაუღვლებაც შეიძლება და დაბრუნებაც), გ) 'ხელი' — სახელარსებითიცაა, ზედსართავიც და რიცხვითი სახელიც, დ) 'თავი' სახელარსებითიცაა, სახელნაცვალიც და ზედსართავიც.

წინააღმდეგობათა ერთიანობის კანონს ემყარებიან ულვლილებაც და ბრუნებაც: „ბრუნების და ულვლილების კონსტრუქციული ნაწილების ერთობა (ინშიისტე) და განშორება აგრეთვე წინააღმდეგობათა ერთიანობაზეა დაფუძნებული. ზედნაშენთან აზროვნებაში ეს ორი წინააღმდეგობა — დრო (მოძრაობა) და ადგილი (დგომა—სტა-

¹ 6. მართი, Verba impersonalia, defectiva, substantiva und auxiliaria, ИАН, 1932, გვ. 703, 704.

ბილობა) — თავის დასაწყისს პოულობს ერთიანობაში, დაუნაწევრებელ, გაუდიფერენცირებულ 'ცაში' (1. '(კა—ჰარიოთ' და 2. 'შიწა—წყლით'), ფლექსის თრ ხსენებულ მორფოლოგიურ ნაწილში (ბრუნებაში, ულვლილებაში), მატერიალურ ბაზისში კი — 1. შრომითი პროცესის და მშრომელი კოლექტივის რერიტორიაში და 2. მოქმედებაში მყოფი კოლექტივის შრომით პროცესში, წარმოებაში და მარტივ თუ რთულ საზოგადოებრიობაში, დამოკიდებით მარტივი თუ რთული ფორმაციიდან¹.

10. ესთივანი ნაციონალური ენა ფილფინა და კლასოგანი სახო-
გადოებაში ენა კლასოგანი ზრდოლის საიმპორტო იარაღი.

ენა უაღრესად კლასობრივი და მეტად საიმედო იარაღია კლასობრივი ბრძოლის პროცესში, ვინაიდან იგი გამოვლენაა შესატყვისი აზროვნება-იდეოლოგიისა.

ჯერ კიდევ 1903 წელსა ენის კლასობრიობის საკითხი დასმული იაფეტილოგიაში² ენაში ტიპოლოგიური მსგავსება-განსხვავების ნიადაგზე კლასობრივი იდეოლოგიის მსგავსებისა და განსხვავების მიხედვით. მართალია, საკითხი მაშინ ჯერ კიდევ ვიწრო ჩარჩოებშია განხილული და სხვავგარად შეუძლებელიც იყო იაფეტილოგიის განთიადზე, მაგრამ მაინც გარკვევითაა დაყენებული, რამდენადაც ნაკვლევი მასალები ამის შესაძლებლობას იძლეოდა; სახელდობრ, აღმოჩნდა, რომ ქართული ხალხური ენა თავისი სტრუქტურით უფრო ახლოსა დგას ხალხურსავე სომხურ ენასთან, ვიდრე იგივე ქართული ხალხური ენა ქართულ სალიტერატურო (ცეკვა-ლურ) ენასთან (ასევე სომხურიც), ე. ი. სალიტერატურო ენა (სომხური და ქართული) ერთი გარკვეული კლასის (წოდების) ნახელავია, ხალხური—მეორესი.

ამის შემდეგ სისტემატურად დასტურდება ენის აგება კლასობრივი იდეოლოგიისა და მსოფლმხედველობის საფუძველზე, ე. ი. ერთიანი ნაციონალური ენის ფიქციურობა და კლასობრივ საზოგადოებაში ენის გამოყენება კლასობრივი ბრძოლის იარაღად³; და ეს

१ ओङ्ग, 729.

² Б. ճանթո, Грамматика древн.-арм. литер. языка, 1903, Եւսազալո.

³ 6. მართი, იხ. მაგ. О происхождении языка, ПЕРЯТ, გვ. 315—316, ЯФЕТИЧ. теория, 152—153; ისტორიული პროცესის საკითხების იაფეტური თეორიის გაშუქებით, 17—19, 26, 27, 71, 75—76; ენა და აზროვნება და სხვა შრომები.

ბრძოლა, მებრძოლ მხარეთა მსრულმხედველობის ამოფლენის მხრივ, თავის იჩენდა თარგმნილ ძეგლებშიც კი?

11. ენის განვითარების პროცესი არის პროცესი გიგანტის ენათა მრავლობიდან—ენათა ერთიანობისაკენ მოგავალ უკლასო საზოგადოებაზი.

ენათმეცნიერება, როგორც გარკვეული სამეცნიერო დისციპლინა, აკად. მარტ მა თავის კუთვნილ აღგილზე დააყენა, პოლიტიკური მოძღვრების ხასიათი მისცა და, ამგვარად წარმართული, იგი პოლიტიკური ბრძოლის იარაღად გადააქცია დღევანდელი მსოფლიო ჭიდილის (რომ მოპირისპირე ბანაკის: ბურუჟაზიულისა და პროლეტარულის) სიტუაციაში. ამიტომაც ბურუჟაზიულ „ენათმეცნიერებას“ თავზარსა სცემს იაფეტიდოლოგიის მიღწევები.

გააშიშვლა რა უმდეგრობა და კლასობრივი შინაარსი რასული თეორიისა, ყოველგვარი ნაციონალური, ბურუჟაზიულ-ფეოდალურ კლასობრივი ტიხერებისა და დიდ მცყრობელური პოლიტიკისა ენაში,— იაფეტიდოლოგიაშ სისტემატური კვლევით ნიადაგი გამოაცალა ინდოევროპული (ბურუჟაზიული) „ენათმეცნიერების“ მტკიცებას ენათა განვითარების შესახებ ერთიდან მრავლობისაკენ და სრულიად მოპირისპირე დებულება განავითარა: მრავლობიდან—ერთიანი ენისაკენ, ე. ი. ინდოევროპეისტიკის ყირაზე მდგარი პირამიდა ენების განვითარებისა გადმოაბრუნა და თავის კუთვნილ ფუძეზე დააყენა.

ენათა უნიფიკაციის ეს პროცესი მსოფლიო მასშტაბით, ნაციონალურ ენათა თანდათანი გაქრობისა და ერთიან ენაში შეერთების პროცესი დამთავრდება მსოფლიო მატერიალური წარმოებისა და ერთიანი მსოფლიო მეურნეობის ჩამოყალიბების შემდეგ, პროლეტარიატის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების პირობებში. ამგვარ ფორმულირობამდის იაფეტიდოლოგია მივიღა იმავე მარქსისტული მეთოდის წყალობით, რომლითაც ი. სტალინი: „არსებითად ფორმულირობამდის ერთიანობა, — ამბობს აკად. მარტი, — ერთი მხრით პოლიტიკოს-რევოლუციონერის, მეორე მხრით სპეციალისტ-ენათმეცნიერის, — თავის ახსნას პოლიტიკის იმ ფაქტში, რომ ამბ. სტალინი თავის საზოგადოებრივ-იურგანიზაციულ დასკვნასთან მივიღა ისევე, როგორც იაფეტიდოლოგი-ლინგვისტი თავის თეორიულ დებულებასთან, კონ-

¹ 6. მარტი, ბорьба классов в груз. версиях евангельского текста, ДАН, 1930, № 9.

კრეტულად აგრეთვე სამეცნიერო - ორგანიზაციულ დასკვნას ჰან...
ერთი და იმავე მარქსისტული ბეთოლით“¹. ამ დასკვნას იაფეტიდო-
ლოგიას უკარნახებდა მუშაობის ჩაღრმავება ენობრივ მოვლე ებში
და ერთიანი გლობოგონიური პროცესის მიმღინარეობის რკვევა: „კა-
ცობრიობამ შექმნა თავისი ენა შრომით პროცესში განსაზღვრულ
საზოგადოებრივ პირობებში და გარდაქმნის მას ცხოვრების და ყო-
ფაცხოვრების ხამდებილად ახალი სოციალური ფორმების დამყარება-
სთან ერთად, ამ პირობებში ახალი აზროვნების მიხედვით“².

მომავალი ერთიანი ენა იქნება ახალი აქამდის არ არსებული
სისტემის ენა, ისე როგორც მომავალი მეურნეობა თავისი ტექნიკით,
მომავალი უკლასო საზოგადოება ზა მომავალი უკლასო კულტურა³.

იაფეტიდოლოგიის ძირითადი დებულებების შესწავლა ცხად-
ჰყოფს, რომ გარკვეულ დროდან იაფეტიდოლოგია სისტემატურად
და ნაბიჯ-ნაბიჯ ამტკიცებს და ასაბუთებს მარქსისტულ-ლენინურ-
სტალინურ დებულებებს⁴ ენათმეცნიერებაში, მარქსისტულ დალექ-
ტიკას შლის ენობრივ ფაქტებზე, დიალექტიკურად ასაბუთებს მთელ
რიგ კარდინალური მნიშვნელობის პრობლემებს. იგი სასტიკად მეც-
ნიერული მიდგომით ამზეურებს ენაში (ენებში) ჩამარხულ, იდეალის-
ტური თვალისათვის უჩინარს, მოვლენათა კანონზომიერებას და თი-
თოეულ ენობრივ ფაქტს მისთვის საჭირო კვალიფიკაციას აძლევს.
ყველა ამით ავიდა ენათმეცნიერება ჩვენში იმ სიმაღლეზე, რომელ-
ზედაც იგი იქამდის არა მდგარა და არც შეიძლება მდგარიყო.

¹ Б. Марх, Языковая политика яфетич. теории и удмуртский язык, 1931, № 3; Агрегаты, п. Стадион. Ленинградский № 1931, № 752, 760.

² Б. Марх, Яфетич. теория, 19.

³ Оქვე.

შირვენი უცხოელი:

სტრ.		არის:	უნდა იყოს:
5 ₁	ქვევ.	ისაც	გისაც
12 ₁₅	ქვევ.	ტჭალასძა	ტჭალასძა
15 ₃	ქვევ.	დანიელი	დანელი
18 ₂	ქვევ.	1933	1932
28 ₆	ზევ.	i	i
33 ₁₁	ქვევ.	ფრაზისა.	ფრაზისა:
35 ₁₈	ზევ.	სესელთან	ლა სახელთან
37 ₁₁₋₁₂	ქვევ.	განსაზღვრასოან;	გამსაზღვრასოან:

- შენიშვნა: 1) მოკლე e - და o -ს უქონლობის გამო სტამბაში წაჩვენებია (გვ. 10₂₃ ზ., 10₃₄ ზ. და 10₄₈ ზ.) ე და შ
 2) იაფეტიდალიგიური ანბანიდან „ძ“-სა და „ლ“ შევეტილის უქონლობის გამო წაჩვენებია (გვ. 28₁ ზ. და 28₇ ზ.) ქ და ე